



ბატონიშვილის ბიბლიოთეკა

ციტირებისთვის:

ევროპული სახელმწიფოებო სამართლის პრინციპები, თარგმანი, ე. ბუკაღავას, თ. ჭალიძის, ა. ცერცვაძისა და დ. გუგუნიას რედაქტორობით, თბილისი, 2014

ელექტრონული იურიდიული ბიბლიოთეკა www.princelibrary.ge

შექმნილია USAID/PROLoG-ის ფინანსური ხელშეწყობით



სულხან-საბა ორბელიანის
ფონდის ფონდები



USAID
ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE

კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
საქართველოში (PROLoG)

დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი

**ევროპული სახელშეკრულებო
სამართლის პრინციპები**

**PRINCIPLES OF EUROPEAN
CONTRACT LAW**

თარგმანი

ეროსი ბზეკალავას, თამარ ჭალიძის,
არჩილ ცერცვაძისა და დიმიტრი გეგენავას
საერთო რედაქციით

თბილისი

2014

UDC(უაკ)347.44
ე-354

Principles of European Contract law – „ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები“ თანამედროვე კერძო სამართალში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია. მართალია, მას სარეკომენდაციო ხასიათი აქვს, თუმცა ევროპაში სამართლებრივი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად აქტიურად გამოიყენება. იგი დიდ როლს თამაშობს ევროპის სასამართლოს პრაქტიკაშიც.

თარგმანი დიდ დახმარებას გაუწევს იურისტებს და ქართული სამართლის ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის პროცესში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს.

სამეცნიერო რედაქტორები: ეროსი ბზეკალავა, თამარ ჭალიძე,
არჩილ ცერცვაძე, დიმიტრი გეგენავა

მთარგმნელები: ეროსი ბზეკალავა, თამარ ჭალიძე, არჩილ ცერცვაძე,
მარიამ ღვამიჩავა, დიანა ჩუბინაშვილი,
ნინო ელოშვილი, ინა გრიგალაშვილი

ყდის დიზაინი: დიმიტრი გეგენავა

© დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, 2014

© დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2014

ISBN 978-9941-0-6728-0

შინაარსი

„ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები“ – ევროკავშირის წევრი ქვეყნებისათვის ერთიანი კერძოსამართლებრივი ხასიათის კანონის მოდელი	12
თარგმანთან დაკავშირებით	16
მშრომის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები I და II ნაწილები, შესწორებული 1998 წელს (I და II ნაწილები, შესწორებული 1998 წელს, ნაწილი III – 2002 წელს).....	19
თავი 1 – ზოგადი დებულებები.....	19
ნაწილი 1 – მოქმედების სფერო.....	19
მუხლი 1:101 (ძვ. 1.101) – მოქმედების სფერო	19
მუხლი 1:102 – სახელშეკრულებო თავისუფლება.....	19
მუხლი 1:103 – გამოსაყენებელი სამართალი	20
მუხლი 1:104 – მხარეთა შეთანხმება ამ პრინციპების გამოყენების თაობაზე	20
მუხლი 1:105 (ძვ. 1.103) – ჩვეულება და პრაქტიკა.....	20
მუხლი 1:106 (ძვ. 1.104) – განმარტება და დამატება	21
მუხლი 1:107 (ძვ. 1.113) – პრინციპების ანალოგია.....	21
ნაწილი 2 – ძირითადი ვალდებულებები.....	21
მუხლი 1:201 (ძვ. 1.106) – კეთილსინდისიერება და სამართლიანობა.....	21
მუხლი 1:202 (ძვ. 1.107) – თანამშრომლობის ვალდებულება	21
ნაწილი 3 – ძირითადი ცნებები და დებულებები	21
მუხლი 1:301 (ძვ. 1.105) – ცნებათა განმარტება.....	21
მუხლი 1:302 (ძვ. 1.108) – გონიერულობა	22
მუხლი 1:303 (ძვ. 1.110) – შეტყობინება	22
მუხლი 1:304 (ძვ. 1.111) – ვადების გამოთვლა	23
მუხლი 1:305 (ძვ. 1.109) – ცოდნისა და განზრახვის ვარაუდი	24
თავი 2 – ხელშეკრულების დადება.....	24
ნაწილი 1 – ზოგადი დებულებები.....	24
მუხლი 2:101 (ძვ. 5.101) – ხელშეკრულების დადების წინაპირობები	24
მუხლი 2:102 (ძვ. 5.102) – ნება.....	25
მუხლი 2:103 (ძვ. 5.103) – შეთანხმების მიღწევა.....	25
მუხლი 2:104 (ძვ. 5.103 A) – პირობები ინდივიდუალურად შეთანხმების გარეშე	25
მუხლი 2:105 (ძვ. 5.106 A) – ამომწურავი დათქმა.....	25
მუხლი 2:106 (ძვ. 5.106 B) – ხელშეკრულების შეცვლა წერილობითი ფორმით.....	26
მუხლი 2:107 (ძვ. 5.108) – არამილებასავალდებულო შეპირება	26

ნაწილი 2 – ოფერტი და აქცეპტი.....27

მუხლი 2:201 (ძვ. 5.201) – ოფერტი..... 27
მუხლი 2:202 (ძვ. 5.202) – ოფერტის გამოხმობა 27
მუხლი 2:203 (ძვ. 5.203) – უარი ოფერტზე 28
მუხლი 2:204 (ძვ. 5.204) – აქცეპტი 28
მუხლი 2:205 (ძვ. 5.205) – ხელშეკრულების დადების დრო..... 28
მუხლი 2:206 (ძვ. 5.206) – აქცეპტის განხორციელებისთვის
განსაზღვრული ვადა 28
მუხლი 2:207 (ძვ. 5.208) – დაგვიანებული აქცეპტი 29
მუხლი 2:208 (ძვ. 5.209) – მოდიფიცირებული აქცეპტი 29
მუხლი 2:209 (ძვ. 5.210) – ხელშეკრულების წინააღმდეგობრივი
სტანდარტული პირობები..... 30
მუხლი 2:210 (ძვ. 5.211) – საქმიანი ურთიერთობის ფარგლებში მოქმედი
მხარის წერილობითი დასტური..... 30
მუხლი 2:211 (ძვ. 5.212) – ოფერტისა და აქცეპტის გარეშე დადებული
ხელშეკრულებანი..... 31

ნაწილი 3 – ვალდებულების წარმოშობა

წინასახელშეკრულებო მტააჴმ.....31

მუხლი 2:301 (ძვ. 5.301) – არაკეთილსინდისიერება
წინასახელშეკრულებო ეტაჴზე..... 31
მუხლი 2:302 (ძვ. 5.302) – კონფიდენციალურობის დარღვეჴა..... 31

თაჴი 3 – წარმომადგენლის უფლებამოსილება.....32

ნაწილი 1 – ჴოზადი დებულებაჴი.....32

მუხლი 3:101 – მოქმედების სფერო..... 32
მუხლი 3:102 – წარმომადგენლობის სახეები..... 32

ნაწილი 2 – პირდაპირი წარმომადგენლობა.....32

მუხლი 3:201 – გამოხატული, ნაჴულისხმეჴი და აჴკარა
უფლებამოსილება..... 32
მუხლი 3:202 – წარმომადგენლის უფლებამოსილების განხორციელება...33
მუხლი 3:203 – წარმოდგენილის ვინაობის გამჴლავნება33
მუხლი 3:204 – წარმომადგენლის მოქმედება უფლებამოსილების გარეშე
ან უფლებამოსილების გადამეტებით.....33
მუხლი 3:205 – ინტერესთა კონფლიქტი.....33
მუხლი 3:206 – ქვეწარმომადგენლობა34
მუხლი 3:207 – წარმოდგენილის შემდგომი თანხმობა..... 34
მუხლი 3:208 – მესაჴე პირის უფლება წარმომადგენლის
უფლებამოსილების დადასტურებაზე.....35
მუხლი 3:209 – უფლებამოსილების ხანგრძლივობა.....35

ნაწილი 3 – არაკირლავირი წარმომადგენლობა.....36

მუხლი 3:301 – შუამავლები, რომლებიც წარმოდგენილის სახელით არ მოქმედებენ 36

მუხლი 3:302 – შუამავლის გადახდისუუნარობა ან ხელშეკრულების მნიშვნელოვანი დარღვევა წარმოდგენილის მიმართ 36

მუხლი 3:303 – შუამავლის გადახდისუუნარობა ან ხელშეკრულების მნიშვნელოვანი დარღვევა მესამე პირის მიმართ..... 36

მუხლი 3:304 – შეტყობინების ვალდებულება..... 37

ნაწილი 4 – ნამდვილობა.....37

მუხლი 4:101 (ძვ. 6:101) – მოქმედების სფერო 37

მუხლი 4:102 (ძვ. 6.102) – საწყისი შეუძლებლობა 37

მუხლი 4:103 (ძვ. 6.103) – ფაქტობრივი ან სამართლებრივი შეცდომა .. 37

მუხლი 4:104 (ძვ. 6.104) – უზუსტობა შეტყობინებისას 38

მუხლი 4:105 (ძვ. 6.105) – ხელშეკრულების ადაპტაცია 38

მუხლი 4:106 (ძვ. 6.106) – მცდარი ინფორმაცია..... 39

მუხლი 4:107 (ძვ. 6.107) – თაღლითობა 39

მუხლი 4:108 (ძვ. 6.108) – მუქარა 39

მუხლი 4:109 (ძვ. 6.109) – გადაჭარბებული სარგებელი ან უსამართლო უპირატესობა 40

მუხლი 4:110 (ძვ. 6.110) – უსამართლო პირობები, ინდივიდუალური შეთანხმების გარეშე..... 40

მუხლი 4:111 (ძვ. 6.111) – მესამე პირები..... 41

მუხლი 4:112 (ძვ. 6.112) – შეტყობინება შეცილების შესახებ 41

მუხლი 4:113 (ძვ. 4.113) – ვადები..... 41

მუხლი 4:114 (ძვ. 6.114) – დადასტურება..... 42

მუხლი 4:115 (ძვ. 6.116) – შეცილების შედეგი..... 42

მუხლი 4:116 (ძვ. 6.115) – ნაწილობრივი შეცილება..... 42

მუხლი 4:117 (ძვ. 6.117) – ზიანი 42

მუხლი 4:118 (ძვ. 6.118) – ზიანის ანაზღაურების გამორიცხვა ან აკრძალვა 43

მუხლი 4:119 (ძვ. 6.119) – ზიანის ანაზღაურება ვალდებულების დარღვევისას 43

თავი 5 – განმარტება.....43

მუხლი 5:101 (ძვ. 7.101/101 A) - განმარტების ძირითადი პრინციპები 43

მუხლი 5:102 (ძვ. 7.102) – არსებითი გარემოებები 44

მუხლი 5:103 (ძვ. 7.103) – Contra Proferentem წესი 44

მუხლი 5:104 (ძვ. 7.104) – შეთანხმებული პირობების უპირატესობა 45

მუხლი 5:105 – ხელშეკრულების მთლიანობა..... 45

მუხლი 5.106 (ძვ. 7.106) – (სრული) შედეგის დადგომაზე ორიენტირებული პირობები.....	45
მუხლი 5.107 (ძვ. 7.107) – ენობრივი შეუსაბამობები	45
თავი 6 – შინაარსი და სამართლებრივი ძალა.....	45
მუხლი 6.101 (ძვ. 8.101) – განცხადებები, რომლებიც წარმოშობენ სახელშეკრულებო ვალდებულებებს	45
მუხლი 6.102 (ძვ. 5.108) – ნაგულისხმევი პირობები.....	46
მუხლი 6:103 – თვალთმაქცური გარიგება	46
მუხლი 6:104 (ძვ. 2.101) – ფასის დადგენა.....	46
მუხლი 6:105 (ძვ. 2.102) – მხარის მიერ პირობების ცალმხრივი განსაზღვრა.....	47
მუხლი 6:106 (ძვ. 2.103) – მესამე პირის მიერ პირობების განსაზღვრა	47
მუხლი 6:107 (ძვ. 2.104) – მითითება არარსებულ გარემოებაზე	47
მუხლი 6:108 (ძვ. 2.105) – შესრულების ხარისხი	47
მუხლი 6:109 (ძვ. 2.109) – უვალო ხელშეკრულება.....	47
მუხლი 6:110 (2.115) – პირობა მესამე პირის სასარგებლოდ	48
მუხლი 6:111 (ძვ. 2.117) – შეცვლილი გარემოებები	48
თავი 7 – შესრულება	49
მუხლი 7:101 (ძვ. 2.106) – შესრულების ადგილი.....	49
მუხლი 7:102 (ძვ. 2.107) – შესრულების დრო.....	49
მუხლი 7:103 (ძვ. 2.108) – ვადამდე შესრულება.....	50
მუხლი 7:104 – შესრულების წესი	50
მუხლი 7:105 – ალტერნატიული შესრულება	50
მუხლი 7:106 (ძვ. 2.116) – შესრულება მესამე პირის მიერ.....	51
მუხლი 7:107 (ძვ. 2.110) – გადახდის ფორმა.....	51
მუხლი 7:108 (ძვ. 2.111) – გადახდის ვალუტა	51
მუხლი 7:109 (ძვ. 2.112) – ვალდებულებების გაქვითვა	52
მუხლი 7:110 (ძვ. 2.113) – უარი ნივთის მიღებაზე.....	53
მუხლი 7:111 (ძვ. 2.114) – უარი ფულადი ვალდებულების შესრულების მიღებაზე	53
მუხლი 7:112 (ძვ. 2.115) – შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯები ...	54
თავი 8 – ვალდებულების დარღვევა და სამართლებრივი დაცვის ზომადი საშუალებები	54
მუხლი 8:101 (ძვ. 3.101) – სამართლებრივი დაცვის საშუალებები	54
მუხლი 8:102 (ძვ. 3.102) – სამართლებრივი დაცვის საშუალებების კუთვლა.....	54
მუხლი 8:103 (ძვ. 3.103) – ვალდებულების არსებითი დარღვევა.....	54

მუხლი 8:104 (ძვ. 3.104) – ხელახალი შესრულება ვალდებულების დამრღვევი მხარის მიერ.....	55
მუხლი 8:105 (ძვ. 3.105) – ვალდებულების შესრულების გარანტია	55
მუხლი 8:106 (ძვ. 3.106) – შეტყობინება ვალდებულების შესრულებისათვის დამატებითი ვადის განსაზღვრის შესახებ	56
მუხლი 8:107 (ძვ. 3.107) – ვალდებულების შესრულების მინდობა მესამე პირისათვის.....	56
მუხლი 8:108 (ძვ. 3.108) – პატივსადები დამაბრკოლებელი გარემოებები.....	56
მუხლი 8:109 (ძვ. 3.109) – შეთანხმება სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენების შეზღუდვის ან გამორიცხვის შესახებ	57
თავი 9 – სამართლებრივი დაცვის სამციალური საშუალებების ვალდებულების დარღვევისას.....	57
ნაწილი 1 – ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება.....	57
მუხლი 9:101 (ძვ. 4.101) – ფულადი ვალდებულებები.....	57
მუხლი 9:102 (ძვ. 4.102) – არაფულადი ვალდებულებები.....	58
მუხლი 9:103 (ძვ. 4.103) – ზიანის ანაზღაურების გამორიცხვის დაუშვებლობა.....	58
ნაწილი 2 – ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლება.....	59
მუხლი 9:201 (ძვ. 4.201) – ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლება.....	59
ნაწილი 3 – ხელშეკრულების შეწყვეტა	59
მუხლი 9:301 (ძვ. 4.301) – ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება.....	59
მუხლი 9:302 (ძვ. 4.302) – ნაწილ-ნაწილ შესასრულებელი ხელშეკრულება.....	59
მუხლი 9:303 (ძვ. 4.303) – შეტყობინება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.....	60
მუხლი 9:304 (ძვ. 4.304) – ვალდებულების მოსალოდნელი დარღვევა.....	60
მუხლი 9:305 (ძვ. 4.305) – ხელშეკრულების შეწყვეტის ზოგადი შედეგები.....	60
მუხლი 9:306 (ძვ. 4.306) – ქონების ღირებულების შემცირება.....	61
მუხლი 9:307 (ძვ. 4.307) – გადახდილი თანხის დაბრუნება	61
მუხლი 9:308 (ძვ. 4.308) – ქონების დაბრუნება	61
მუხლი 9:309 (ძვ. 4.309) – ანაზღაურება იმ შესრულებისთვის, რომლის გამოთხოვა შეუძლებელია.....	61
ნაწილი 4 – ფასის შემცირება.....	61

მუხლი 9:401 (ძვ. 4.401) – ფასის შემცირების უფლება.....	61
ნაწილი 5 – ზიანის ანაზღაურება და სარგებელი.....	62
მუხლი 9:501 (ძვ. 4.501) – ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება	62
მუხლი 9:502 (ძვ. 4.502) – ზიანის ოდენობის განსაზღვრა.....	62
მუხლი 9:503 (ძვ. 4.503) – წინასწარგანჭვრეტადობა	62
მუხლი 9:504 – დაზარალებულის ბრალი ზიანის დადგომაში (ახალი, ძვ. 4:504-ის ნაწილი)	63
მუხლი 9:505 – დანაკარგის შემცირება (ძვ. 4.504-ის ნაწილი)	63
მუხლი 9:506 (ძვ. 4.505) – გარიგების ჩანაცვლება	63
მუხლი 9:507 (ძვ. 4.506) – მიმდინარე ფასი.....	63
მუხლი 9:508 (ძვ. 4.507) – თანხის გადახდის დაგვიანება.....	64
მუხლი 9:509 (ძვ. 4.508) – შეთანხმებული ანაზღაურება ვალდებულების დარღვევისთვის.....	64
მუხლი 9:510 (ძვ. 4.509) – ვალუტა, რომელშიც განისაზღვრება ზიანის ოდენობა.....	64
ევროპის სასაქონლო სამართლის პრინციპები III ნაწილი, 2002.....	65
თავი 10 – მხარეთა სიმრავლე.....	65
ნაწილი 1 – მოვალეთა სიმრავლე.....	65
მუხლი 10:101 – სოლიდარული, ნაწილობრივი და საერთო ვალდებულებები.....	65
მუხლი 10:102 – სოლიდარული ვალდებულების წარმოშობა.....	65
მუხლი 10:103 – ნაწილობრივი ვალდებულება.....	66
მუხლი 10:104 – საერთო ვალდებულებები: ზიანის ფულით ანაზღაურების მოთხოვნის სპეციალური წესი ვალდებულების დარღვევისას.....	66
მუხლი 10:105 – ვალდებულების განაწილება სოლიდარულ მოვალეებს შორის.....	66
მუხლი 10:106 – ბალანსი მოვალეთა შორის.....	66
მუხლი 10:107 – ვალდებულების შესრულება, გაქვითვა და კონფუზია სოლიდარული ვალდებულებისას.....	67
მუხლი 10:108 – ვალის პატიება ან მორიგება სოლიდარული ვალდებულების შემთხვევაში	67
მუხლი 10:109 – სასამართლო გადაწყვეტილების მოქმედება სოლიდარული ვალდებულების დროს.....	67
მუხლი 10:110 – ხანდაზმულობა სოლიდარული ვალდებულების არსებობისას.....	68
მუხლი 10:111 – სხვა შესაგებლები სოლიდარული ვალდებულების არსებობისას.....	68

ნაწილი 2 – კრედიტორთა სიმრავლე	68
მუხლი 10:201 – კრედიტორები სოლიდარულ, ნაწილობრივ და საერთო ვალდებულებებში	68
მუხლი 10:202 – გადანაწილება ნაწილობრივი სოლიდარული კრედიტორების შემთხვევაში	69
მუხლი 10:203 – შესრულებასთან დაკავშირებული სირთულეები საერთო მოთხოვნის არსებობისას	69
მუხლი 10:204 – სოლიდარული მოთხოვნების გადანაწილება	69
მუხლი 10:205 – სოლიდარული კრედიტორების მოწესრიგება	69
თავი 11 – მოთხოვნათა დათმობა	70
ნაწილი 1 – ზოგადი პრინციპები	70
მუხლი 11:101 – მოქმედების სფერო.....	70
მუხლი 11:102 – სახელშეკრულებო მოთხოვნების დათმობა	71
მუხლი 11:103 – ნაწილობრივი დათმობა.....	71
მუხლი 11:104 – დათმობის ფორმა	71
ნაწილი 2 – მოთხოვნის დათმობის შედეგები და ურთიმართობა კვამლ და ახალ კრედიტორს შორის	71
მუხლი 11:201 – ახალ კრედიტორზე გადატანილი უფლებები	71
მუხლი 11:202 – მოთხოვნის უფლების დათმობის ძალაში შესვლა	72
მუხლი 11:203 – ახალი კრედიტორის უფლებები ძველ კრედიტორთან მიმართებით.....	72
მუხლი 11:204 – ძველი კრედიტორის გარანტიები.....	72
ნაწილი 3 – მოთხოვნის უფლების დათმობის შედეგები ახალ კრედიტორსა და მოვალეს შორის ურთიმართობაში	73
მუხლი 11:301 – მოთხოვნის უფლების დათმობის აკრძალვა ხელშეკრულებით	73
მუხლი 11:302 – მოთხოვნის უფლების დათმობის ბათილობის სხვა საფუძვლები.....	73
მუხლი 11:303 – მოვალის ვალდებულებები.....	74
მუხლი 11:304 – მოვალის დაცვა	74
მუხლი 11:305 – ურთიერთსაწინააღმდეგო მოთხოვნები.....	74
მუხლი 11:306 – შესრულების ადგილი	75
მუხლი 11:307 – მოთხოვნის შესაგებლები და გაქვითვის უფლება	75
მუხლი 11:308 – ახალი კრედიტორის არამბოჭავი ხელშეკრულების უნებართვო ცვლილება.....	76
ნაწილი 4 – ახალ და სხვა კრედიტორებს შორის მოთხოვნის უფლებათა დათმობის რიგითობა	76

მუხლი 11:401 – რიგითობა.....	76
თავი 12 – ახალი მოვალის ჩანაცვლება: ხელშეპრულების გადაცემა.....	77
ნაწილი 1 – ახალი მოვალის ჩანაცვლება.....	77
მუხლი 12:101 – ჩანაცვლება: ძირითადი წესები.....	77
მუხლი 12:102 – ჩანაცვლების გავლენა შესაგებლებსა და ფასიან ქალაქებზე.....	77
ნაწილი 2 – ხელშეპრულების გადაცემა.....	78
მუხლი 12:201 – ხელშეკრულების გადაცემა.....	78
თავი 13 – მოთხოვნათა ურთიერთგაქვითვა.....	78
მუხლი 13:101 – მოთხოვნათა ურთიერთგაქვითვის წინაპირობები.....	78
მუხლი 13:102 – დაუდგენელი მოთხოვნები.....	79
მუხლი 13:103 – მოთხოვნათა გაქვითვა უცხოური ვალუტით.....	79
მუხლი 13:104 – შეტყობინება მოთხოვნათა გაქვითვის თაობაზე.....	79
მუხლი 13:105 – მოთხოვნებისა და ვალდებულებების სიმრავლე.....	79
მუხლი 13:106 – მოთხოვნათა გაქვითვის სამართლებრივი შედეგი.....	80
მუხლი 13:107 – მოთხოვნათა ურთიერთგაქვითვის გამორიცხვა.....	80
თავი 14 – ხანდაზმულობა.....	80
ნაწილი 1 – ზოგადი დებულებები.....	80
მუხლი 14:101 – ხანდაზმულობას დაქვემდებარებული სარჩელები.....	80
ნაწილი 2 – ხანდაზმულობის ვადები და მათი ათვლა.....	80
მუხლი 14:201 – ზოგადი ვადა.....	80
მუხლი 14:202 – სამართალწარმოებით დადგენილი სასარჩელო ვადა.....	80
მუხლი 14:203 – ვადის ათვლა.....	80
ნაწილი 3 – ვადის გაგრძელება.....	81
მუხლი 14:301 – ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება.....	81
მუხლი 14:302 – ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება სასამართლო ან სხვა სამართალწარმოების გამო.....	81
მუხლი 14:303 – ხანდაზმულობის ვადის დინების შეჩერება კრედიტორის პატივისცემის მიზნის გამო.....	82
მუხლი 14:304 – ხანდაზმულობის ვადის გაგრძელება მოლაპარაკებების გამო.....	82
მუხლი 14:305 – ხანდაზმულობის ვადის გაგრძელება ქმედუნარობის გამო.....	82
მუხლი 14:306 – ხანდაზმულობის ვადის გაგრძელება: გარდაცვლილის ქონება.....	82
მუხლი 14:307 – ხანდაზმულობის მაქსიმალური ვადა.....	83
ნაწილი 4 – ვადების განახლება.....	83
მუხლი 14:401 – განახლება აღიარების გამო.....	83

მუხლი 14:402 – განახლება შესრულების მცდელობით.....	83
ნაწილი 5 – ხანდაზმულობის ვადის სამართლებრივი	
შედეგები	83
მუხლი 14:501 – ზოგადი სამართლებრივი შედეგი.....	83
მუხლი 14:502 – გავლენა აქცესორულ მოთხოვნებზე.....	84
მუხლი 14:503 – ხანდაზმული მოთხოვნის გაქვეითვა	84
ნაწილი 6 – შეთანხმებით გათვალისწინებულ	
ცვლილებას.....	84
მუხლი 14:601 – ხანდაზმულობასთან დაკავშირებული შეთანხმება	84
თავი 15 – კანონთან წინააღმდეგობა	84
მუხლი 15:101 – ძირითადი პრინციპების საწინააღმდეგო ხელშეკრულებები	84
მუხლი 15:102 – ხელშეკრულებები, რომელიც ეწინააღმდეგება იმპერატიულ ნორმებს	85
მუხლი 15:103 – ნაწილობრივი ბათილობა.....	85
მუხლი 15:104 – პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა	85
მუხლი 15:105 – ზიანის ანაზღაურება.....	86
თავი 16 – პირობები.....	86
მუხლი 16:101 – პირობის სახეები	86
მუხლი 16:102 – პირობებში ჩარევა	86
მუხლი 16:103 – პირობების სამართლებრივი ძალა	87
თავი 17 – პროცენტის ჩათვლა კაპიტალში.....	87

**„ევროპული სახელმწიფოებრივი სამართლის პრინციპები“
– ევროკავშირის წევრი ქვეყნებისათვის მართიანი
კერძო სამართლებრივი ხასიათის კანონის მოდელი**

„ერთიანი ევროპული ბაზრის“ იდეის ჩამოყალიბებასთან ერთად, ევროპელი სამართალმცოდნეების დიდი ნაწილის სურვილი წევრი ქვეყნებისათვის საერთო საკანონმდებლო ბაზის არსებობის თაობაზე არ განელებულა. ამ მიმართულებით მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ და დღემდე ასრულებენ ევროკავშირის მიერ შემუშავებული დირექტივები და რეგულაციები, რომლებიც ხელს უწყობენ განსხვავებული სამართლებრივი სისტემების დაახლოებას ევროკავშირის შიგნით და ზოგადად, საერთო საზოგადოებრივი ფასეულობების ჩამოყალიბებას.

დღეს არსებული მდგომარეობით, წევრი ქვეყნების მოქალაქეები, თავიანთი ქვეყნის შიგნით არსებული სამართლებრივი წესების მიხედვით მოქმედებენ: ფრანგი ფრანგული სამართლით ხელმძღვანელობს, გერმანელი – გერმანულით და პორტუგალიელი – პორტუგალიური სამართლით. დირექტივები და სხვადასხვა მულტილათერალური ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებები სახელმწიფოს შიდა სამართლებრივი სისტემების ზოგად პინციპებთან ჰარმონიზაციას და მათ ერთმანეთთან დაახლოებას უწყობენ ხელს, თუმცა ჯერჯერობით ყველა წევრი ქვეყნის მოქალაქეებისა და იურიდიული პირებისათვის საერთო საკანონმდებლო რეგულირებაზე საუბარი ნაადრევია.

აღსანიშნავია, რომ ეს პროცესი, პირველ ყოვლისა, კერძო სამართლებრივი კუთხითაა მნიშვნელოვანი. ევროპის კავშირის მოქალაქეები და იურიდიული პირები ერთმანეთთან იმდენად მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობებში იმყოფებიან, რომ ყველასათვის საერთო ნორმების არსებობა სასაქონლო ბრუნვის სტაბილურობისთვისაც აუცილებელია. ტენდენცია კი საბოლოოდ სასამართლო სისტემის დეცენტრალიზაციასა და წევრი ქვეყნების შიგნით ევროპის სასამართლოს „წარმომადგენლობის“ აუცილებლობასაც ბადებს.

ამ პროცესების ჭრილში მნიშვნელოვანია ისეთი რეგულაციების არსებობა, როგორცაა ე.წ. „რომი I“ (რომელიც შეეხება სახელშეკრულებო ვალდებულებით ურთიერთობებს), „რომი II“ (რომელიც არასახ-

ელშეკრულებო ვალდებულებით ურთიერთობებს შეეხება) და „რომი III“ (რომელიც საოჯახოსამართლებრივ საკითხებს აწესრიგებს). თუმცა ეს წესები საერთაშორისო კერძოსამართლებრივ ხასიათს ატარებენ და ამით განსხვავდებიან ერთიანი სამართლებრივი აქტისაგან.

არსებობენ ორგანიზაციები, რომლებიც სამართლის „დაახლოების“ პროცესს მიმართულებას აძლევენ და დიდწილად განაპირობებენ კიდევ ამ პროცესებს. ასეთია საერთაშორისო ორგანიზაცია UNIDROIT-ის სახელწოდებით, რომელიც სწორედ ერთიანი კერძოსამართლებრივი კანონმდებლობის ჩამოყალიბებაზე მუშაობს და ამ მიზნით საერთო პრინციპებს, ჩარჩო ხელშეკრულებებს, კანონის მოდელებსა და ერთიანი სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბებისათვის საჭირო სხვა მნიშვნელოვან დოკუმენტს შეიმუშავებს (ჩვენთვის ყველასთვის ნაცნობია ე.წ. UNIDROIT-ის პრინციპები, რომლებიც უფრო სარეკომენდაციო ხასიათს ატარებენ, ვიდრე – ნორმატიულს). შესაძლებელია, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ეს პრინციპები მათი ხელშეკრულების ნაწილი გახდეს, თუმცა ასეთი დისპოზიციური და არანორმატიული ხასიათი მას კანონის თვისებებს ვერ შესძენს.

საერთო საკანონმდებლო სისტემის ჩამოყალიბების კუთხით ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროს Principles of European Contract law – „ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები“ წარმოადგენს (შემდგომში – PECL). რთულია ამ დოკუმენტის მნიშვნელობაზე საუბარი, ექსპერტების აზრით და მისი შექმნის მოტივიდან გამომდინარე, ის ევროპის სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილის მოდელს წარმოადგენს. მართალია, ის არ არის კერძო სამართლის წყარო ფორმალური გაგებით, თუმცა ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, PECL სამართლის ფორმირებისათვის უმნიშვნელოვანესი წყაროა და ამით, შესაძლოა, მატერიალური გაგებით კერძო სამართლის წყაროსაც წარმოადგენდეს.

სხვა მსგავსი წესების შემთხვევაში, მხარეები უფლებამოსილნი არიან, ეს პრინციპები ხელშეკრულების ნაწილად გახადონ. ამით PECL ევროპის სასამართლოსთვისაც ფასეულ წყაროდ გვევლინება, რასაც ევროპის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილებებში მისი ხშირი მითითე-

ბაც ხაზს უსვამს. თუკი საკითხს სხვაგვარად შევხედავთ, მაშინ ევროპის სასამართლოს მიერ მასზე მითითება, ურთიერთობის მონაწილე მხარეებისათვისაც ნიშანდობლივ ფაქტორს უნდა წარმოადგენდეს.

აქვე მოკლედ მსურს შევეხო PECL შექმნის ისტორიას. მისი შემუშავება და კანონის მოდელის სახით ჩამოყალიბება ევროპული სახელშეკრულებო სამართლის კომისიის (Commission on European Contract Law) 21 წლიანი შრომის შედეგია. კომისია პირველად 1980 წელს ბრუსელში შეიკრიბა, თუმცა 1980 შეკრებილი სამართალმცოდნეებისაგან ყველა არ მოხვდა 1982 წელს, ჰამბურგში შემდგარ საბოლოო კომისიაში, რომელშიც წევრი ქვეყნების 15 სამართალმცოდნე (მონაწილეთა რიცხვი საბოლოოდ 23-მდე გაიზარდა) იყო გაერთიანებული. მონაწილეების შერჩევა მხოლოდ მათი პროფესიული ხარისხის და არა პოლიტიკური ან სხვა ნიშნის მიხედვით მოხდა. კომისიის შექმნის იდეა ეკუთვნოდა ცნობილ დანიელ სამართალმცოდნეს, ოლე ლანდოს. სწორედ ის გაუძღვა კომისიის მუშაობას ესტაფეტის მთელ მანძილზე. ამიტომაც კომისიას ხშირად „ოლე ლანდოს კომისიის“ სახელწოდებითაც მოიხსენიებენ. პრინციპებზე მუშაობა კომისიამ 1982 წელს დაიწყო და 2003 წელს, სწორედ მაშინ დაასრულა, როდესაც სრული ტექსტის ბოლო, მე-3 ნაწილი იქნა შემუშავებული.

PECL-ის ტექსტი სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგება. პირველი და მეორე ნაწილი შეიცავს წესებს მოქმედების სფეროს, ხელშეკრულების დადების, არსებითი პირობების, წარმომადგენლობის, ფულადი ვალდებულებების შესრულების, ზიანის ანაზღაურებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. მესამე ნაწილი კი ძირითადად კრედიტორთა სიმრავლის, მოთხოვნათა დათმობის, ხანდაზმულობისა და ვადების სამართლებრივი ინსტიტუტების ირგვლივ არსებული საკითხების მოწესრიგებას ახდენს.

PECL რიც საკითხებს, რომელებიც ქართულ სამართალშია მოგვარებული, განსხვავებულად აწესრიგებს. ქართველი მკითხველისათვის საინტერესო იქნება არათანმყოფ პირთა შორის გამოვლენილი ნების და საერთოდ, ხელშეკრულების დადების საკითხი, ოფერტზე მოწვევის

განსხვავებული მოწესრიგება, წარმომადგენლობის, ასევე, ვადის ათვისების დაწყებისა და დასრულების საკითხები.

ამ და სხვა მიზეზების გამო, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის მოლოდინში და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის პრინციპების გათვალისწინებით, გადაწყდა წინამდებარე ტექსტის თარგმნა, რაც დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის ინტერდისციპლინური კვლევებისა და შედარებითი სამართლის ცენტრმა განახორციელა. თარგმანის ძირითადი ნაწილი შესრულებულია ეროსი ბზეკალავას, არჩილ ცერცვაძის, თამარ ჭალიძის, დიანა ჩუბინაშვილის, მარიამ ღვამიჩავას, ნინო ელოშვილისა და ინა გრიგალაშვილის მიერ, თარგმნის პროცესში, ასევე, მონაწილეობდნენ დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის სტაჟიორები. ქართული თარგმანი შედარებულია გერმანულენოვან ტექსტთანაც, რათა მაქსიმალურად ჰარმონიზებული ყოფილიყო ქართულ სამოქალაქოსამართლებრივ ტერმინოლოგიასთან, რომელიც სწორედ გერმანული სამართლის გავლენას განიცდის.

იმედს ვიტოვებთ, რომ წინამდებარე თარგმანი დიდ დახმარებას გაუწევს როგორც პრაქტიკოსს, ისე თეორიულ საკითხებზე მომუშავე იურისტებს და ქართული სამართლის ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის პროცესში თავის მოკრძალებულ წვლილს შეიტანს.

ეროსი ბზეკალავა

სამართლის მაგისტრი (MA, LL.M),
დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის
ინტერდისციპლინური კვლევებისა და შედარებითი
სამართლის ცენტრის უფროსი

2014 წლის ივნისი, თბილისი

თარგმანთან დაკავშირებით

უცხოენოვანი ტექსტის ქართულ ენაზე თარგმნა ძალიან საპასუხისმგებლო საქმეა. ტექსტის შინაარსის სრულყოფილად გადმოცემა და მკითხველამდე მიტანა, ავტორის სტილისა და ენობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ურთულესი ამოცანა გახლავთ. ამოცანა განსაკუთრებით მაშინ რთულდება, როდესაც საკითხი ეხება უცხოენოვან სამართლებრივ ტექსტს, უხვად გაჯერებულს რთული იურიდიული ტერმინებითა და სიტყვათა შეთანხმებებით. სწორედ ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია, ორიოდე სიტყვით მოგახსენოთ „ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების“ ქართულენოვანი თარგმანის თაობაზე და მაგალითისთვის განვიხილოთ რამდენიმე სამართლებრივი ცნების სპეციფიკა.

თარგმნის პროცესში არაერთხელ აღვკინიშნავს, რომ შედარებით იოლია ქართულ ენაზე ახალი ნაშრომის შექმნა, ვიდრე უცხოენოვანი ტექსტის ქართულად თარგმნა აზრის დამახინჯების გარეშე. სამართლებრივი ენა, ტერმინები და სპეციფიკა გამორჩეულია როგორც ქართულ, ასევე, ინგლისურ ენაშიც. სწორედ ამიტომ ჩვენს მიზანს წარმოადგენდა ყველა იურიდიული ცნების ზუსტი გადმოთარგმნა ქართულ ენაზე და მკითხველისთვის გასაგებად მიწოდება. მაქსიმალურად შევეცადეთ, ყველა ინგლისური სამართლებრივი ტერმინის ზუსტი შინაარსი გადმოგვეცა ქართულად. ის, თუ რამდენად შევძელით მიზნის მიღწევას, მკითხველის შეფასების საგანია.

ინგლისურენოვანი სამართლებრივი ცნებების გადმოქართულებისას ჩვენი მთავარი მიზანი იყო, ქართული ტექსტი მაქსიმალურად შეგვესაბამებინა სამოქალაქო კოდექსის მიერ დამკვიდრებულ სამართლებრივ ენასთან. ამ მიზნით რამდენიმე ძირეული სიტყვა და სიტყვათშეთანხმება სწორედ სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ტერმინოლოგიით გადმოვიტანეთ, რაც, ვფიქრობთ, ქართული ცივილისტიკური ტერმინოლოგიის კონტექსტში, მათ აღქმას გააიოლებს. შესაბამისად, ინგლისური სამართლებრივი ტერმინების ქართული ანალოგი ყოველთვის არ ემთხვევა მის პირდაპირ სიტყვა-სიტყვით თარგმანს. მაგალითად, ტერმინის – “Nonperformance” –

პირდაპირი თარგმანი „შეუსრულებლობა“, თუმცა მკითხველი მიხვდება, რომ ინგლისურ ენაში ეს სიტყვა უფრო ფართო შინაარსს მოიცავს, ვიდრე უბრალოდ მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა. რეალურად, იგი გულისხმობს არა მხოლოდ ვალდებულების შეუსრულებლობას, არამედ ვალდებულების არაჯეროვან შესრულებასა და ვადის გადაცილებასაც. ამ შინაარსის გამომხატველი ზუსტი ტერმინი კი განლავთ „ვალდებულების დარღვევა“ და სწორედ ეს სიტყვათშეთანხმება გამოიყენება ქართულ თარგმანში.

შეგვიძლია, ასევე, ვახსენოთ ტერმინები “Assignor” და “Assignee”. ეს სიტყვები, მოთხოვნის უფლების დათმობის კონტექსტში, გულისხმობს იმ პირს, რომელმაც, ერთი მხრივ, დათმო უფლება (მოთხოვნის გადამცემი) და პირს, რომელმაც მიიღო მოთხოვნის უფლება (მოთხოვნის მიმღები). მსგავსადვე, ისინი ქართულ ენაზე გადმოტანილია არა პირდაპირი, სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით, არამედ მისი შინაარსით და უშუალოდ იმ სიტყვების გამოყენებით, რომლებსაც სამოქალაქო კოდექსი ამკვიდრებს. ეს სიტყვათა წყვილებია „ძველი კრედიტორი“ და „ახალი კრედიტორი“.

კონტექსტიდან გამომდინარე, ზოგიერთი ცნება განსხვავებულ შინაარსს გადმოსცემს. მაგალითად, ტერმინი “Remedy” პრინციპების ტექსტის ზოგიერთ ნაწილში გამოიყენება, როგორც პირის ხელთ არსებული სამართლებრივი დაცვის ყველა საშუალების ერთობლიობა, ხოლო ზოგიერთ მუხლში იგი მოცემულია ვიწრო შინაარსით, როგორც „ზიანის ანაზღაურება“.

ტერმინთა სიუხვის გათვალისწინებით, სამწუხაროდ, ყველა მათგანზე სათითაოდ ვერ შევჩერდებით, თუმცა ხსენებული მაგალითების მოხმობით შევეცადეთ, ზოგადი წარმოდგენა შეგვექმნა ქართული ტექსტის მთლიან ქსოვილსა და თარგმანის სპეციფიკაზე. ამავე დროს, იმედს გამოვთქვამთ, რომ „ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების“ ქართულ თარგმანს აქტიურად გამოიყენებენ ქართველი იურისტები. წინამდებარე ნაშრომი მათ სამართლებრივი თვალსაწიერის გაფართოებასა და ევროპული სახელშეკრულებო

სამართლის ძირითადი დებულებების შესწავლაში დაეხმარება. აქვე, გვსურს აღვნიშნოთ ისიც, რომ მთარგმნელებსა და რედაქტორებს, რა თქმა უნდა, არ გაგვანია პრეტენზია თარგმანის სრულყოფილებაზე. გვსურს, მკითხველისგან მივიღოთ შენიშვნები, რომლებიც დაგვეხმარება სამომავლოდ მუშაობის დახვეწასა და შემდეგი გამოცემების სრულყოფაში.

არჩილ ცერცვაძე

სამართლის მაგისტრი, სამოქალაქო
საზოგადოების ინსტიტუტის
სამართლის ექსპერტი

2014 წლის ივნისი, თბილისი

**ევროპის სახელმწიფოებში
სამართლის პრინციპები 2002
(ნაწილი I, II და III)**

**ევროპის სახელმწიფოებში სამართლის პრინციპები
I და II ნაწილები, შესწორებული 1998 წელს
(I და II ნაწილები, შესწორებული 1998 წელს,
ნაწილი III – 2002 წელს)**

**თავი 1 – ზოგადი დებულებები
ნაწილი 1 – მოქმედების სფერო**

მუხლი 1:101 (ძვ. 1:101) – მოქმედების სფერო

- (1) ეს პრინციპები ევროკავშირის ფარგლებში მოქმედი სახელმწიფოებში სამართლის ზოგად წესებად მოიაზრება.
- (2) ეს პრინციპები გამოიყენება, თუ მხარეები შეთანხმდებიან, რომ ისინი ხელმწიფოების ნაწილი გახდნენ ან ხელმწიფოება დაექვემდებაროს მათ.
- (3) ეს პრინციპები ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც მხარეებს:
 - (a) მიღწეული აქვთ შეთანხმება, რომ მათი ხელმწიფოება ექვემდებარება სამართლის ზოგად პრინციპებს, სავაჭრო ჩვეულებებსა და ტრადიციებს ან სხვა მსგავს პრინციპებს; ან
 - (b) არ აქვთ არჩეული სამართლის სისტემა ან წესები, რომელსაც დაექვემდებარება მათი ხელმწიფოება.
- (4) ეს პრინციპები ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ საკითხის გადასაწყვეტად, რომელსაც გამოსაყენებელი სამართლებრივი სისტემა ან წესები არასათანადოდ ან საერთოდ არ აწესრიგებს.

მუხლი 1:102 – სახელმწიფოებში თავისუფლება

- (1) მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად დადონ ხელმწიფოება და განსაზღვრონ მისი შინაარსი კეთილსინდისიერებისა და სამართლიანობის პრინციპების შესაბამისად, თუ ხელმწიფოება „ევროპის სახელმწიფოებში სამართლის პრინციპებში“ მოცემულ იმპერატიულ წესებს არ ეწინააღმდეგება.

- (2) მხარეებს უფლება აქვთ ნაწილობრივ ან საერთოდ არ გამოიყენონ რომელიმე პრინციპი ან მისი შინაარსი შეცვალონ, თუ ამ პრინციპებით სხვა რამ არაა დადგენილი.

მუხლი 1:103 – გამოსაყენებელი სამართალი

- (1) მხარეებს უფლება აქვთ შეთანხმდნენ, რომ მათი სახელშეკრულებო ურთიერთობა ამ პრინციპებით მოწესრიგდეს, თუ ეს ნებადართულია გამოსაყენებელი სამართლით, რის შედეგადაც სავალდებულო ეროვნული სამართალი აღარ გამოიყენება.
- (2) მიუხედავად იმისა, თუ რომელ სამართალს ექვემდებარება მხარეთა სახელშეკრულებო ურთიერთობა, უპირატესობა იმ ეროვნულ, სუბრანაციონალურ და საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს უნდა მიენიჭოს, რომელთა გამოყენებაზეც საერთაშორისო კერძო სამართალი მიუთითებს.

მუხლი 1:104 – მხარეთა შეთანხმება ამ პრინციპების გამოყენების თაობაზე

- (1) ამ პრინციპებისაღმძი ხელშეკრულების დაქვემდებარების ან ხელშეკრულებაში მათი გათვალისწინების თაობაზე მხარეთა შეთანხმების არსებობა და კანონიერება თავად ამ პრინციპებით განისაზღვრება.
- (2) ამ პრინციპების გამოყენების თაობაზე მხარეთა შეთანხმების მიუხედავად, სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარემ იმ ქვეყნის კანონმდებლობაზე დაყრდნობით, სადაც მას მუდმივი ადგილსამყოფელი აქვს, შეიძლება ეს შეთანხმება სადავო გასაღოს, თუ გარემოებებიდან გამომდინარე, ივარაუდება, რომ არაგონივრული იქნებოდა ამ პრინციპების მიხედვით მხარის მოქმედების შედეგის განსაზღვრა.

მუხლი 1:105 (ძვ. 1.103) – ჩვეულება და პრაქტიკა

- (1) მხარეები შებოჭილნი არიან იმ ჩვეულებებითა და პრაქტიკით, რომელზეც შეთანხმდნენ და რომელიც მათ ურთიერთობაში დამკვიდრებულია.
- (2) მხარეები შებოჭილნი არიან იმ ჩვეულებებით, რომლებიც მსგავს ვითარებაში სხვა პირთათვისაც მისაღები იქნებოდა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ჩვეულებების გამოყენება არაგონივრულია.

მუხლი 1:106 (ძვ. 1.104) – განმარტება და დამატება

- (1) ეს პრინციპები მათი მიზნების შესაბამისად უნდა განიმარტოს და განივრცოს, ყურადღება კეთილსინდისიერებისა და სამართლიანობის პრინციპებს, სახელშეკრულებო ურთერთობებში მხარეთა ურთიერთდობასა და ამ პრინციპების გამოყენების ერთგვაროვან პრაქტიკას უნდა მიექცეს.
- (2) ის სადავო საკითხები, რომლებიც ამ პრინციპების განმარტებისა და გამოყენებისას წარმოიშობა, მაგრამ ამ პრინციპებით პირდაპირ გადაწყვეტილი არაა, როგორც წესი, იმ იდეების შესაბამისად უნდა გადაწყდეს, რომლებიც ამ პრინციპებს საფუძვლად უდევს. თუ ეს შეუძლებელია, მაშინ ის სამართლებრივი სისტემა გამოიყენება, რომელზეც საერთაშორისო კერძო სამართალი მიუთითებს.

მუხლი 1:107 (ძვ. 1.113) – პრინციპების ანალოგია

ეს პრინციპები, შესაბამისი ცვლილებებით, იმ შეთანხმებებზე გამოიყენება, რომლებიც მიზნად ხელშეკრულების შეცვლას ან შეწყვეტას ისახავს, ასევე, ცალმხრივ ან სხვაგვარ ნების გამოვლენაზე.

ნაწილი 2 – ძირითადი ვალდებულებები

მუხლი 1:201 (ძვ. 1.106) – კეთილსინდისიერება და სამართლიანობა

- (1) თითოეული მხარე კეთილსინდისიერებისა და სამართლიანობის პრინციპების შესაბამისად უნდა მოქმედებდეს.
- (2) მხარეებს უფლება არა აქვთ, ეს ვალდებულება გამორიცხონ ან შეზღუდონ.

მუხლი 1:202 (ძვ. 1.107) – თანამშრომლობის ვალდებულება

თითოეული მხარე ვალდებულია ხელშეკრულების ჯეროვნად შესრულებისათვის მეორე მხარესთან ითანამშრომლოს.

ნაწილი 3 – ძირითადი ცნებები და დებულებები

მუხლი 1:301 (ძვ. 1.105) – ცნებათა განმარტება

ამ პრინციპებში, თუ შინაარსიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს:

- (1) ცნება „მოქმედება“ გულისხმობს უმოქმედობასაც;
- (2) ცნება „სასამართლო“ გულისხმობს არბიტრაჟსაც;
- (3) ცნება „განზრახვა“ გულისხმობს გაუფრთხილებლობასაც;
- (4) ცნება „ვალდებულების დარღვევა“ გულისხმობს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობას ან არაჯეროვან შესრულებას, იმის მიუხედავად, საპატიოა თუ არა ეს დარღვევა; გამოიხატება თუ არა ის შესასრულებლად დათქმული ვადის გასვლის შემდეგ შესრულებაში, არაჯეროვან შესრულებასა თუ ხელშეკრულების ჯეროვნად განხორციელებისთვის საჭირო თანამშრომლობის ვალდებულების დარღვევაში.
- (5) პირობა „არსებითია“, თუ მისი ცოდნა გონივრული განსჯის საფუძველზე ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მსგავს ვითარებაში მყოფი სხვა პიროვნების გადაწყვეტილებაზე, დაედო თუ არა ხელშეკრულება შემოთავაზებული პირობებით ან საერთოდ არ დაედო იგი, ზეგავლენას მოახდენდა.
- (6) „წერილობითი“ შეტყობინება გულისხმობს ურთიერთობას, რომელიც ხორციელდება ტელეგრაფის, ფაქსის, ტელექსის, ელექტრონული ფოსტის ან კომუნიკაციის სხვა საშუალებებით, რომლის წერილობითი აღქმაც ორივე მხარისათვის შესაძლებელია.

მუხლი 1:302 (ძვ. 1.108) – გონივრულობა

ამ პრინციპების ფარგლებში გონივრულობა განიმარტება იმის შესაბამისად, თუ რას მიიჩნევდა გონივრულად ხელშეკრულების მხარის მსგავს ვითარებაში მყოფი კეთისინდისიერად მოქმედი სხვა პირი. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, გონივრულობის განმარტებისას გასათვალისწინებელია ხელშეკრულების ბუნება და მიზანი, საქმის გარემოებები, სავაჭრო ჩვეულებები, ტრადიციები და პრაქტიკა, ურთიერთობის მონაწილეთა პროფესიები.

მუხლი 1:303 (ძვ. 1.110) – შეტყობინება

- (1) ნებისმიერი შეტყობინება შეიძლება განხორციელდეს წერილობით ან სხვა ფორმით, გარემოებების შესაბამისად.
- (2) ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების მიხედვით, ნებისმიერი შეტყობინება ძალაშია, როდესაც ის აღრესატამდე მიაღწევს.

- (3) შეტყობინება ადრესატისთვის მისულად მიიჩნევა, როცა ის პირადად ჩაბარდება, სამუშაო ადგილის ან საფოსტო მისამართის შესაბამისად მიეწოდება. თუ მას სამუშაო ადგილი და საფოსტო მისამართი არ გააჩნია, მაშინ მისი მუდმივი ადგილსამყოფლის მისამართი გამოიყენება.
- (4) თუ ერთი მხარე მეორეს შეტყობინებას ამ უკანასკნელის მიერ ვალდებულების დარღვევის ან იმის გამო უგზავნის, რომ პირველი მხარე მეორის მიერ ვალდებულების დარღვევას საფუძვლიანად ეჭვობს და ეს შეტყობინება სათანადო წესითაა გაგზავნილი ან გასაგზავნად გადაცემული, მაშინ შეტყობინების დაგვიანებით ან არასწორ მისამართზე გაგზავნა ან საერთოდ გადაუცემლობა შეტყობინების სამართლებრივი შედეგის დადგომას ვერ შეაფერხებს. შეტყობინებას სამართლებრივი ძალა იმ დროიდან მიენიჭება, როდესაც ის ჩვეულებრივ გარემოებებში ადრესატს მიუვიდოდა.
- (5) შეტყობინებას სამართლებრივი ძალა არ გააჩნია, თუ ამავე შეტყობინების გამგზავნის მიერ მისი უარყოფა ადრესატს შეტყობინების გადაცემამდე ან შეტყობინების გადაცემისას მიუვა.
- (6) ამ მუხლის მიხედვით, „შეტყობინებაში“ იგულისხმება დაპირება, განცხადება, ოფერტი, აქცეპტი, მოთხოვნა, თხოვნა ან სხვა სახით გამოვლენილი ნება.

მუხლი 1:304 (მვ. 1.111) – ვადების გამოთვლა

- (1) ერთ-ერთი მხარის მიერ წერილობით შეტყობინებაში განსაზღვრული დროის მონაკვეთი (ვადა), რომელიც ადრესატისათვის პასუხის გასაცემად ან რაიმე მოქმედების შესასრულებლად დადგენილი, დოკუმენტში განსაზღვრული თარიღის მიხედვით აითვლება. თუ ასეთი დროის მონაკვეთი განსაზღვრული არაა, ვადა იმ მომენტიდან აითვლება, როდესაც შეტყობინება ადრესატამდე მიაღწევს.
- (2) თუ დროის მონაკვეთი ოფიციალურ უქმე ან სადღესასწაულო დღეებს მოიცავს, ისინი ჩვეულებრივ ვადის შემადგენელ ნაწილად ჩაითვლება. თუ ვადის ბოლო დღე ადრესატის საცხოვრებელი ან მოქმედების შესასრულებელი ადგილის მიხედვით ოფიციალურ უქმე ან სადღესასწაულო დღეს ემთხვევა, მაშინ ვადა მომდევნო სამუშაო დღის დასრულებამდე გრძელდება.

(3) იმ ვადის ათვლა, რომელიც გამოხატულია დღეებით, კვირებით, თვეებით ან წლებით, მომდევნო დღის 00:00 საათიდან უნდა დაიწყოს და ვადის ბოლო დღის 24:00 საათზე დასრულდეს; მაგრამ, ყველა პასუხი, რომელიც მხარეს დადგენილ ვადაში უნდა მიუვიდეს ან ნებისმიერი მოქმედება, რომელიც ვადის დამდგენი მხარის მიმართ უნდა შესრულდეს, შესაბამის ადგილას სამუშაო დროის დასრულებამდე, ვადის ბოლო დღეს უნდა განხორციელდეს.

მუხლი 1:305 (მვ. 1.109) – ცოდნისა და განზრახვის ვარაუდი

თუ ხელშეკრულების მხარემ ხელშეკრულების დადების პროცესში მესამე პირი ჩართო, მას ხელშეკრულების შესრულების უფლება ან მის შესასრულებლად წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მიანიჭა და მესამე პირმა:

- (a) რაიმე ფაქტი იცოდა ან ივარაუდა, ან უნდა სცოდნოდა ან უნდა ევარაუდა, ან
- (b) განზრახვით ან უხეში გაუფრთხილებლობით, ან კეთილისინდისიერებისა და სამართლიანობის პრინციპების დარღვევით მოქმედებდა, ეს უთანაბრდება, თავად ხელშეკრულების მხარის მიერ ფაქტების ცოდნას ან ვარაუდს; ცოდნისა და ვარაუდის ვალდებულებას; განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით მოქმედებას, ან კეთილისინდისიერების პრინციპის დარღვევას.

თავი 2 – ხელშეკრულების დადება

ნაწილი 1 – ზოგადი დებულებები

მუხლი 2:101 (მვ. 5.101) – ხელშეკრულების დადების წინაპირობები

- (1) ხელშეკრულება დადებულად ჩაითვლება, თუ:
 - (a) მხარეები სამართლებრივი ბოჭვის ნებას გამოხატავენ და
 - (b) მიაღწევენ სათანადო შეთანხმებასსხვა რაიმე პირობის არსებობის გარეშე.
- (2) ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებული არაა წერილობით ფორმაზე ან ფორმასთან დაკავშირებულ სხვა მოთხოვნაზე.

ხელშეკრულების არსებობა ნებისმიერი გზით შეიძლება დადასტურდეს, მათ შორის მოწმეთა განცხადებების საფუძველზეც.

მუხლი 2:102 (ძვ. 5.102) – ნება

მხარის მიერ სამართლებრივი ბოჭვის თაობაზე ნების გამოვლენა მისი განცხადებების ან მოქმედებების შესაბამისად უნდა განიმარტოს იმგვარად, როგორც ეს გონივრული განსჯის შედეგად მეორე მხარემ აღიქვა.

მუხლი 2:103 (ძვ. 5.103) – შეთანხმების მიღწევა

- (1) შეთანხმება მიღწეულია, თუ ხელშეკრულების პირობები:
 - (a) მხარეების მიერ იმდენად ცხადადაა განსაზღვრული, რომ საკმარისია ხელშეკრულების შესასრულებლად, ან
 - (b) ამ პრინციპების შესაბამისად განიმარტოს.
- (2) თუ ერთ-ერთი მხარე, რომელიმე პირობაზე შეთანხმების მიღწევაში, ხელშეკრულების დადებაზე უარს აცხადებს, მაშინ ხელშეკრულება დადებაზე არ ჩაითვლება, თუ ამ პირობაზე შეთანხმება არ შედგა.

მუხლი 2:104 (ძვ. 5.103 A) – პირობები ინდივიდუალურად შეთანხმების გარეშე

- (1) ხელშეკრულების პირობები, რომლებიც მხარეებს ინდივიდუალურად არ შეუთანხმებიათ, შეიძლება იმ მხარის წინააღმდეგ იქნას მიმართული, რომელმაც მათ შესახებ არ იცოდა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე, რომელიც ამ პირობებს იყენებს, ხელშეკრულების დადებაში ან დადების პროცესში გონივრული ხერხებით ამ პირობებზე კონტრაქტის ყურადღების გამახვილებას ცდილობდა.
- (2) პირობებზე მხარის ყურადღების გამახვილებად არ ჩაითვლება ხელშეკრულების დოკუმენტში მათი უბრალოდ მითითება, მაშინაც კი, თუ ეს მხარე ამ დოკუმენტს ხელს აწერს.

მუხლი 2:105 (ძვ. 5.106 A) – ამომწურავი დათქმა

- (1) თუ წერილობითი ხელშეკრულება ინდივიდუალურად შეთანხმებულ დათქმას შეიცავს, რომ მისი ტექსტი ხელშეკრულების ყველა პირობას სრულად ასახავს (ამომწურავი დათქმა), მაშინ მხარეების ნებისმიერი

ადრეული განცხადებები, შეპირებები ან შეთანხმებები, რომლებიც ხელშეკრულების ტექსტში ასახული არაა, მის ნაწილს არ წარმოადგენს.

- (2) თუ ამომწურავი დათქმა ინდივიდუალურად შეთანხმებული არაა, ის მხოლოდ ვარაუდს ასახულებს, რომ მხარეების ადრეული განცხადებები, შეპირებები ან შეთანხმებები ხელშეკრულების ნაწილს არ წარმოადგენს. დაუშვებელია ამ წესის გამოორიცხვა ან შეზღუდვა.
- (3) მხარეთა ადრეული განცხადებები მხოლოდ ბუნდოვანი ხელშეკრულების განმარტებისას გამოიყენება. ეს წესი არ შეიძლება გამოირიცხოს ან შეიზღუდოს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამის შესახებ მხარეებს შორის ინდივიდუალური შეთანხმებაა მიღწეული.
- (4) ერთ-ერთ მხარეს, მისი განცხადებებიდან და მოქმედებებიდან გამომდინარე, ამომწურავი დათქმის გამოყენებაზე მხოლოდ მაშინ შეიძლება უარი ეთქვას, თუ მეორე მხარე მათ გონივრული განსჯის საფუძველზე ეყრდნობოდა.

მუხლი 2:106 (ძვ. 5.106 B) – ხელშეკრულების შეცვლა წერილობითი ფორმით

- (1) წერილობითი ხელშეკრულების დათქმა, რომელიც ნებისმიერი ცვლილების ან ხელშეკრულების დასრულებაზე შეთანხმებისათვის წერილობით ფორმას მოითხოვს, მხოლოდ ვარაუდს აყალიბებს, რომ ცვლილების ან ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შეთანხმება სამართლებრივად მბოჭავად არ მოიაზრება, თუ ის წერილობითი ფორმით არ განხორციელდა.
- (2) ერთ-ერთ მხარეს, მისი განცხადებებიდან და მოქმედებებიდან გამომდინარე, ასეთი დათქმის გამოყენებაზე მხოლოდ მაშინ შეიძლება უარი ეთქვას, თუ მეორე მხარე მათ გონივრული განსჯის საფუძველზე ეყრდნობოდა.

მუხლი 2:107 (ძვ. 5.108) – არამიღებასავალდებულო შეპირება

მბოჭავია მიღების გარეშე სამართლებრივად მბოჭავად გამიზნული დაპირება.

ნაწილი 2 – ოფერტი და აქცეზი

მუხლი 2:201 (ძვ. 5.201) – ოფერტი

- (1) შეთავაზება მიიჩნევა ოფერტად, თუ:
 - (a) ის ოფერენტის ნებას გამოხატავს, რომ მეორე მხარის მიერ აქცეზის შემთხვევაში, მზადაა შეასრულოს შეთავაზება, და
 - (b) ის ხელშეკრულების დასადებად საჭირო, შესაბამისი სიზუსტით ჩამოყალიბებულ პირობებს შეიცავს.
- (2) ოფერტი შეიძლება ერთი ან რამდენიმე პირისადმი ან პირთა განუსაზღვრელი წრისადმი იყოს მიმართული.
- (3) საჯარო განაცხადის, კატალოგის გამოყენების ან საქონლის დემონსტრაციის გზით პროფესიონალი მიმწოდებლის მიერ განხორციელებული შეთავაზება, რომელიც შეთავაზებულ ფასად საქონლის მიწოდების ან რაიმე მომსახურების გაწვევისაკენაა მიმართული, დავის შემთხვევაში შეიძლება ოფერტად ჩაითვალოს მხოლოდ მაშინ, თუ საქონლის მარაგი არ ამოწურულა ან შესაბამისი ფასით მომსახურების გაწევა შესაძლებელია.

მუხლი 2:202 (ძვ. 5.202) – ოფერტის გამოხმობა

- (1) ოფერტი შეიძლება გამოხმობილ იქნეს, თუ ამის შესახებ შეტყობინება ადრესატს (აქცეპტანტს) აქცეპტის გაგზავნამდე მიუვა ან მოქმედებით გამოხატული აქცეპტის შემთხვევაში მანამ, სანამ ხელშეკრულება 2:205 მუხლის მე-2 ან მე-3 პუნქტების თანახმად დადებულად მიიჩნევა.
- (2) პირთა განუსაზღვრელი წრისადმი მიმართული ოფერტის უარყოფა შესაძლებელია იმავე გზით, რა გზითაც ასეთი ოფერტი განხორციელდა.
- (3) ოფერტის უარყოფა სამართლებრივ შედეგს არ იწვევს, თუ:
 - (a) ოფერტი მიუთითებს, რომ იგი შეუქცევადია; ან
 - (b) განსაზღვრულია ზუსტი დრო აქცეპტისთვის; ან
 - (c) აქცეპტანტმა ოფერტის შეუქცევადი ხასიათი გონივრულად ივარაუდა და ამის საფუძველზე რაიმე მოქმედება შეასრულა.

მუხლი 2:203 (ძვ. 5.203) – უარი ოფერტზე

ოფერტი აქცეპტანტის მიერ უარყოფილად ჩაითვლება, როდესაც უარი ოფერენტს მიუვა.

მუხლი 2:204 (ძვ. 5.204) – აქცეპტი

- (1) აქცეპტანტის მიერ ნებისმიერი ფორმით გაკეთებული განაცხადი ან ქცევა აქცეპტია, თუ ის შეთავაზებულ ოფერტზე თანხმობას მიუთითებს.
- (2) მხოლოდ დუმილი ან უმოქმედობა აქცეპტად არ მიიჩნევა.

მუხლი 2:205 (ძვ. 5.205) – ხელშეკრულების დადების დრო

- (1) თუ აქცეპტანტის მიერ აქცეპტის შესახებ შეტყობინება ოფერენტს გაეგზავნა, ხელშეკრულება დადებულად ჩაითვლება, როდესაც აქცეპტი ადრესატს მიუვა.
- (2) როცა აქცეპტი განხორციელდა რაიმე მოქმედებით, ხელშეკრულება დადებულად ჩაითვლება, როდესაც შეტყობინება აღნიშნული მოქმედების შესახებ ოფერენტს მიუვა.
- (3) თუ ოფერტის ხასიათის, მხარეებს შორის ჩამოყალიბებული პრაქტიკის ან ჩვეულებების საფუძველზე, ოფერტის მიმღებს შეუძლია აქცეპტი ოფერენტისათვის შეუტყობინებლად რაიმე მოქმედების განხორციელებით გამოხატოს, ხელშეკრულება დადებულად ამ მოქმედების განხორციელების დაწყების მომენტიდან ჩაითვლება.

მუხლი 2:206 (ძვ. 5.206) – აქცეპტის განხორციელებისთვის განსაზღვრული ვადა

- (1) აქცეპტი სამართლებრივ ძალას იძენს, თუ ის ოფერენტს ამისათვის წინასწარ განსაზღვრულ ვადაში მიუვა.
- (2) თუ ოფერენტის მიერ ვადა განსაზღვრული არაა, აქცეპტი ოფერენტს გონივრულ ვადაში უნდა მიუვიდეს.
- (3) იმ შემთხვევაში, თუ აქცეპტი რაიმე მოქმედებით ხორციელდება 2:205 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ეს მოქმედება იმ ვადაში უნდა შესრულდეს, რომელიც ოფერენტმა აქცეპტისათვის განსაზღვრა. თუ ასეთი ვადა განსაზღვრული არაა, მაშინ აქცეპტი გონივრულ ვადაში უნდა განხორციელდეს.

მუხლი 2:207 (ძვ. 5.208) – დაგვიანებული აქცეპტი

- (1) დაგვიანებით მიღებული აქცეპტი მაინც შეიძლება სამართლებრივი ძალის მქონე აქცეპტად ჩაითვალოს, თუ ოფერენტი აქცეპტანტს დაუყოვნებლივ აცნობებს, რომ ის, დაგვიანების მიუხედავად, მას ასეთად განიხილავს.
- (2) თუ აქცეპტის შემცველი წერილიდან ან მისი შემცველი სხვა წერილობითი შეტყობინებიდან ჩანს, რომ ის, იმ პირობების გათვალისწინებით, რა პირობებშიც გაგზავნილ იქნა, ჩვეულებრივ შემთხვევაში დროულად მიუვიდოდა ოფერენტს, მაშინ ასეთი დაგვიანებული აქცეპტი სამართლებრივ ძალას შეიძენს, თუ ოფერენტი დაუყოვნებლივ არ აცნობებს აქცეპტანტს, რომ იგი მას ასეთად არ განიხილავს.

მუხლი 2:208 (ძვ. 5.209) – მოდიფიცირებული აქცეპტი

- (1) აქცეპტანტის პასუხი ოფერტზე, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად დამატებით ან განსხვავებულ პირობებს შეიცავს, რაც შემოთავაზებას არსებითად ცვლის, უარი და ამავედროულად ახალი ოფერტია.
- (2) პასუხი, რომელიც აშკარად შეიძლება ოფერტზე თანხმობად იქნას მიჩნეული, აქცეპტად იმ შემთხვევაშიც ჩაითვლება, თუ ის პირდაპირ ან ირიბად დამატებით ან განსხვავებულ პირობებს შეიცავს, მაგრამ არსებითად ოფერტის შინაარსს არ ცვლის. ასეთ შემთხვევაში, დამატებითი ან განსხვავებული პირობები ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი გახდება.
- (3) ამასთან, ასეთი პასუხი განიხილება, როგორც უარი ოფერტზე, თუ:
 - (a) ოფერტი აქცეპტს ოფერტში გათვალისწინებული პირობებით პირდაპირ ზღუდავს; ან
 - (b) ოფერენტი განსხვავებულ ან დამატებით პირობებზე დაუყოვნებლივ ამბობს უარს; ან
 - (c) აქცეპტანტი აქცეპტს განსხვავებული პირობის თაობაზე ოფერენტის თანხმობაზე დამოკიდებულს ხდის და თანხმობა აქცეპტანტამდე გონივრულ ვადაში ვერ მიაღწევს.

მუხლი 2:209 (ძვ. 5.210) – ხელშეკრულების წინააღმდეგობრივი სტანდარტული პირობები

- (1) თუ მხარეებმა მიადწიეს შეთანხმებას, მიუხედავად იმისა, ემთხვევა თუ არა ერთმანეთს მხარეთა ოფერტი და აქცეპტი ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შესახებ, ხელშეკრულება მაინც დადებულია მიიჩნევა. ხელშეკრულების სტანდარტული პირობები ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად ჩაითვლება, თუ მათი შინაარსი ურთიერთობის ხასიათს შეესაბამება.
- (2) ხელშეკრულება არ ჩაითვლება დადებულიად, თუ მხარე:
- (a) წინასწარ, ცხადად და არა სტანდარტული პირობების მეშვეობით განაცხადებს, რომ მას არ სურს ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე ხელშეკრულებით იყოს შებოჭილი, ან
 - (b) დაუყოვნებლივ აცნობებს მეორე მხარეს, რომ იგი არ აპირებს შეიბოჭოს ასეთი ხელშეკრულებით.
- (3) ხელშეკრულების სტანდარტული პირობები ისეთი პირობებია, რომლებიც კონკრეტული სახის ხელშეკრულებებისთვის წინასწარაა ჩამოყალიბებული და გამიზნულია მრავალჯერადი გამოყენებისთვის და რომელთა შეთანხმებაც მხარეთა მიერ ინდივიდუალურად არ მომხდარა.

მუხლი 2:210 (ძვ. 5.211) – საქმიანი ურთიერთობის ფარგლებში მოქმედი მხარის წერილობითი დასტური

- თუ მხარეებმა, საქმიანი ურთიერთობის განხორციელებისას დადეს ხელშეკრულება ისე, რომ მისი შინაარსი წერილობითი ფორმით არ აუსახავთ და ერთ-ერთი მხარე მეორეს ხელშეკრულების დადების შესახებ დასტურს დაუყოვნებლივ უგზავნის ახალი ან განსხვავებული პირობებით, მაშინ ეს პირობები წერილობითი ხელშეკრულების ნაწილი გახდება, თუ:
- (a) აღნიშნული პირობები ხელშეკრულებაში ჩამოყალიბებულ პირობებს არსებითად არ ცვლის, ან
 - (b) მათ ადრესატი დაუყოვნებლივ არ უარყოფს.

მუხლი 2:211 (ძვ. 5.212) – ოფერტისა და აქცეპტის გარეშე დადებული ხელშეკრულებანი

ამ თავში მოცემული წესები შესაბამისი ცვლილებით გამოიყენება მაშინაც, თუ ხელშეკრულების დადების პროცესი ოფერტად და აქცეპტად არ შეიძლება დაიყოს.

**ნაწილი 3 – ვალდებულების წარმოშობა
წინასასახელშეკრულებო ეტაპზე**

მუხლი 2:301 (ძვ. 5.301) – არაკეთილსინდისიერება წინასახელშეკრულებო ეტაპზე

- (1) თუ წინასახელშეკრულებო ეტაპზე განხორციელებული მოქმედებების მიუხედავად, ხელშეკრულება არ დაიდო, მხარეებს ამის გამო პასუხისმგებლობა არ ეკისრებათ.
- (2) მხარე, რომელიც კეთილსინდისიერებისა და სამართლიანობის პრინციპების დარღვევით რაიმე მოქმედებას შეასრულებს ან სახელშეკრულებო მოლაპარაკებებს შეწყვეტს, ვალდებულია, მეორე მხარეს მიყენებული ზიანი აუნაზღაუროს.
- (3) იგულისხმება, რომ მხარე კეთილსინდისიერებისა და სამართლიანობის პრინციპებს არღვევს, თუ წინასახელშეკრულებო მოლაპარაკებები ხელშეკრულების დადების ნამდვილი სურვილის გარეშე დაიწყო ან გააგრძელა.

მუხლი 2:302 (ძვ. 5.302) – კონფიდენციალურობის დარღვევა

თუ ერთ-ერთი მხარე ხელშეკრულების მომზადების ეტაპზე საიდუმლო ინფორმაციას გასცემს, მეორე მხარე ვალდებულია, არ გაამჟღავნოს და არ გამოიყენოს იგი საკუთარი მიზნებისათვის მაშინაც კი, როდესაც ხელშეკრულება მხარეებს შორის არ დადებულა. ამ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, მხარეს შეუძლია მოითხოვოს როგორც ზიანის ანაზღაურება, ისე მეორე მხარის მიერ აქედან მიღებული სარგებლის უკან დაბრუნება.

თავი 3 – წარმომადგენლის უფლებამოსილება ნაწილი 1 – ზოგადი დებულებები

მუხლი 3:101 – მოქმედების სფერო

- (1) ეს თავი აწესრიგებს წარმომადგენლის ან სხვა შუამავლის უფლებამოსილებას, რომლითაც მის მიერ მესამე პირთან დადებული ხელშეკრულებით წარმოდგენილი პირი იბოჭება.
- (2) ეს თავი არ აწესრიგებს წარმომადგენლის უფლებამოსილებას, რომელიც მას კანონის მიერ აქვს მინიჭებული ან დანიშნულია საჯარო ორგანოს ან სასამართლო ხელისუფლების მიერ.
- (3) ეს თავი არ აწესრიგებს წარმომადგენელს ან შუამავალსა და მის წარმოდგენილს შორის შიდა ურთიერთობას.

მუხლი 3:102 – წარმომადგენლობის სახეები

- (1) როცა წარმომადგენელი მისი წარმოდგენილის სახელით მოქმედებს, პირდაპირი წარმომადგენლობის წესები (თავი 2) გამოიყენება. მნიშვნელობა არა აქვს წარმომადგენლის მოქმედებისას წარმოდგენილის ვინაობა ცნობილია, თუ მოგვიანებით გამჟღავნდება.
- (2) როდესაც შუამავალი, წარმოდგენილის მითითებების შესაბამისად, მისი ნებართვით, მაგრამ არა მისი სახელით, მოქმედებს, ან როდესაც მესამე პირმა არ იცის და არც შეიძლება იცოდეს, რომ შუამავალი მოქმედებს, როგორც წარმომადგენელი, არაპირდაპირი წარმომადგენლობის წესები (თავი 3) გამოიყენება.

ნაწილი 2 – პირდაპირი წარმომადგენლობა

მუხლი 3:201 – გამოხატული, ნაგულისხმევი და აშკარა უფლებამოსილება

- (1) წარმოდგენილის მიერ წარმომადგენლისათვის მინიჭებული უფლებამოსილება შეიძლება იყოს აშკარად გამოხატული ან გარემოებებიდან გამომდინარე ივარაუდებოდეს.
- (2) წარმომადგენელი უფლებამოსილია, იმ მიზნების მისაღწევად, რომლისთვისაც უფლებამოსილება მიენიჭა, გარემოებებიდან გამომდინარე ყველა საჭირო მოქმედება განახორციელოს.

(3) პირის მიმართ ისეთივე წესები გამოიყენება, როგორც წარმომადგენლის მიმართ, თუ ამ პირის განცხადებები ან მოქმედება მესამე პირს გონივრულად და კეთილსინდისიერად აფიქრებინებს, რომ მის მიერ შესრულებული მოქმედებებისათვის მას შესაბამისი უფლებამოსილება ჰქონდა.

მუხლი 3:202 – წარმომადგენლის უფლებამოსილების განხორციელება

როდესაც წარმომადგენელი იმ უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებს, რომელიც განსაზღვრულია 3:201 მუხლით, მისი მოქმედებები წარმოდგენილს და მესამე პირს ერთმანეთის მიმართ პირდაპირ ბოჭავს. წარმომადგენელი არ იმყოფება მესამე პირთან სამართლებრივ ბოჭვაში.

მუხლი 3:203 – წარმოდგენილის ვინაობის გამჟღავნება

თუ წარმომადგენელი სახელშეკრულებით ურთიერთობას წარმოდგენილის სახელით ამყარებს, რომლის ვინაობაც მოგვიანებით უნდა განაცხადოს, მაგრამ მესამე პირის მოთხოვნიდან გონივრულ ვადაში არ განაცხადებს, ამ ხელშეკრულების მხარე თავად წარმომადგენელი ხდება.

მუხლი 3:204 – წარმომადგენლის მოქმედება უფლებამოსილების გარეშე ან უფლებამოსილების გადამეტებით

(1) როდესაც პირი წარმომადგენლის უფლებამოსილების გარეშე ან უფლებამოსილების გადამეტებით მოქმედებს, მის მიერ შესრულებული მოქმედებები წარმოდგენილსა და მესამე პირს შორის სამართლებრივ ბოჭვას არ წარმოშობს.

(2) 3:207 მუხლის თანახმად, წარმოდგენილის შემდგომი თანხმობის არარსებობისას, წარმომადგენელი ვალდებულია მესამე პირებს აუნაზღაუროს ზიანის ისეთივე ოდენობა, როგორსაც აუნაზღაურებდა უფლებამოსილების ფარგლებში რომ ემოქმედა. ეს წესი არ გამოიყენება, თუ მესამე პირმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა წარმომადგენლის უფლებამოსილების ხარვეზის შესახებ.

მუხლი 3:205 – ინტერესთა კონფლიქტი

(1) თუ წარმომადგენლის მიერ დადებულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით არსებობს ინტერესთა კონფლიქტი, რის შესახებაც იცოდა მესამე

პირმა ან უნდა სცოდნოდა, წარმოდგენილმა შეიძლება ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებები 4:112 – 4:116 მუხლების დებულებების შესაბამისად აიცილოს.

(2) ინტერესთა კონფლიქტი არსებობს, თუ:

(a) წარმომადგენელი იმავდროულად მოქმედებდა, როგორც მესამე პირის წარმომადგენელი; ან

(b) ხელშეკრულებასთან დაკავშირებით მას პირადი ინტერესი ჰქონდა.

(3) წარმოდგენილმა შეიძლება ვერ აიცილოს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებები, თუ:

(a) მას თანხმობა ჰქონდა მიცემული, ან უნდა სცოდნოდა წარმომადგენლის ასეთი მოქმედების შესახებ; ან

(b) წარმომადგენელმა განაცხადა ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შესახებ, მაგრამ ეს გონივრულ ვადაში სადავოდ არ გაუხდია.

მუხლი 3:206 – ქვეწარმომადგენლობა

წარმომადგენელს შეუძლია დანიშნოს პირი იმ ქმედებების შესასრულებლად, რომელიც პიროვნულ ხასიათს არ ატარებს და არაა გონივრულად მოსალოდნელი, რომ თავად შესრულდეს. ამ თავის წესები გამოიყენება ქვეწარმომადგენლობისას; ქვეწარმომადგენლის მოქმედებები, რომლებიც მის და წარმომადგენლის უფლებამოსილებაშია, წარმოდგენილსა და მესამე პირს ერთმანეთის მიმართ პირდაპირ ბოჭავენ.

მუხლი 3:207 – წარმოდგენილის შემდგომი თანხმობა

(1) როდესაც პირი უფლებამოსილების გარეშე ან უფლებამოსილების გადამეტებით მოქმედებს, როგორც წარმომადგენელი, წარმოდგენილმა შეიძლება მის მიერ განხორციელებულ მოქმედებებზე შემდგომი თანხმობა განაცხადოს.

(2) შემდგომი თანხმობით, წარმომადგენლის მოქმედებები მიჩნეულია, როგორც უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული მოქმედებები, თუ ამით სხვა პირთა უფლებები არ ილახება.

მუხლი 3:208 – მესამე პირის უფლება წარმომადგენლის უფლებამოსილების დადასტურებაზე

როდესაც წარმოდგენილის განცხადებები ან მოქმედება მესამე პირს აფიქრებინებს, რომ წარმომადგენლის მოქმედებები უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელდა, მაგრამ მესამე პირი ეჭვს შეიტანს მის უფლებამოსილებაში, შეიძლება მოითხოვოს უფლებამოსილების წერილობითი დადასტურება ან შემდგომი თანხმობა წარმოდგენილისგან. თუ წარმოდგენილი წარმომადგენლობას სადავოდ არ განდის ან დადებითად პასუხობს მოთხოვნას, წარმომადგენლის მოქმედებები მიიჩნევა, როგორც უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული.

მუხლი 3:209 – უფლებამოსილების ხანგრძლივობა

- (1) წარმომადგენლის უფლებამოსილება გრძელდება, ვიდრე მესამე პირი შეიტყობს ან უნდა შეეტყო, რომ:
 - (a) წარმომადგენლის უფლებამოსილება შეწყვიტა წარმოდგენილმა, თავად წარმომადგენელმა ან ორივემ; ან
 - (b) მოქმედებები, რომლისთვისაც უფლებამოსილება მინიჭებული ჰქონდა, შესრულდა ან გავიდა დრო, რომლის განმავლობაშიც უფლებამოსილების ვადა; ან
 - (c) წარმომადგენელი გახდა გადახდისუუნარო, ან ფიზიკური პირის შემთხვევაში, გარადიცვალა ან გახდა ქმედუუნარო; ან
 - (d) წარმოდგენილი გახდა გადახდისუუნარო.
- (2) ივარაუდება, რომ მესამე პირმა იცოდა წარმომადგენლის უფლებამოსილების დასრულების შესახებ 1(a) პუნქტის თანახმად, თუ ამის შესახებ მას აცნობეს ან მისთვის ცნობილი გახდა იმავე გზით, რა გზითაც თავიდან უფლებამოსილების არსებობის შესახებ შეიტყო.
- (3) წარმომადგენელი უფლებამოსილებას გონივრული ვადით ინარჩუნებს, რათა წარმოდგენილის ან მისი მემკვიდრეების ინტერესების დასაცავად საჭირო მოქმედებები შეასრულოს.

ნაწილი 3 – არაპირდაპირი წარმომადგენლობა

მუხლი 3:301 – შუამავლები, რომლებიც წარმოდგენილის სახელით არ მოქმედებენ

(1) როდესაც შუამავალი მოქმედებს:

(a) წარმოდგენილის მითითებებით და მისი რწმუნებით, მაგრამ არა მისი სახელით, ან

(b) წარმოდგენილის მითითებებით, მაგრამ მესამე პირმა არ იცის და არც შეიძლება იცოდეს ამის შესახებ,

შუამავალი და მესამე პირი ერთმანეთის მიმართ სამართლებრივ ბოჭვაში არიან.

(2) წარმოდგენილი და მესამე პირი ერთმანეთის მიმართ სამართლებრივ ბოჭვაში არიან მხოლოდ 3:302 და 3:304 მუხლებში აღწერილი პირობების არსებობისას.

მუხლი 3:302 – შუამავლის გადახდისუუნარობა ან ხელშეკრულების მნიშვნელოვანი დარღვევა წარმოდგენილის მიმართ

თუ შუამავალი გადახდისუუნარო ხდება, ან თუ ის წარმოდგენილის მიმართ ხელშეკრულებას მნიშვნელოვნად არღვევს, ან თუ შესრულების დროის დადგომამდე ცხადია, რომ შუამავალი მას არ შეასრულებს:

(a) წარმოდგენილის მოთხოვნისას, შუამავალმა მას მესამე პირის სახელი და მისამართი უნდა აცნობოს; და

(b) წარმოდგენილს უფლება აქვს გამოიყენოს მესამე პირის წინააღმდეგ უფლებები, რომლებიც შუამავალმა წარმოდგენილის რწმუნების საშუალებით მოაპოვა ნებისმიერ იმ მოქმედებაზე საპასუხოდ, რასაც მის წინააღმდეგ მესამე პირი განახორციელებს.

მუხლი 3:303 – შუამავლის გადახდისუუნარობა ან ხელშეკრულების მნიშვნელოვანი დარღვევა მესამე პირის მიმართ

თუ შუამავალი ხდება გადახდისუუნარო, ან თუ ის მნიშვნელოვნად არღვევს ხელშეკრულებას, ან თუ შესრულების დროის დადგომამდე ცხადია, რომ შუამავალი მას არ შეასრულებს:

- (a) მესამე პირის მოთხოვნისას, შუამავალმა მას მისი წარმოდგენილის სახელი და მისამართი უნდა აცნობოს; და
- (b) მესამე პირს უფლება აქვს გამოიყენოს წარმოდგენილის წინააღმდეგ უფლებები, რომლებიც მესამე პირს აქვს შუამავლის წინააღმდეგ ნებისმიერ მოქმედებაზე საპასუხოდ, რომლებიც შუამავალმა შეიძლება მის, ხოლო და წარმოდგენილმა კი შუამავლის წინააღმდეგ განახორციელოს.

მუხლი 3:304 – შეტყობინების ვალდებულება

3:302 და 3:303 მუხლების თანახმად, უფლებების გამოყენება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ მათი გამოყენების შესახებ შეატყობინეს შუამავლს და მესამე პირს ან წარმოდგენილს. შეტყობინების მიღების შემდეგ, მესამე პირს ან წარმოდგენილს აღარ მოეთხოვებათ ხელშეკრულების შესრულება შუამავლის მიმართ.

ნაწილი 4 – ნამდვილობა

მუხლი 4:101 (ძვ. 6:101) – მოქმედების სფერო

ეს თავი კანონთან ან მორალთან წინააღმდეგობის ან ქმედუნარიანობის ნაკლის გამო ბათილობის საკითხს არ აწესრიგებს.

მუხლი 4:102 (ძვ. 6.102) – საწყისი შეუძლებლობა

ხელშეკრულება ბათილი არაა მხოლოდ იმის გამო, რომ ხელშეკრულების დადებისას ნაკისრი ვალდებულების შესრულება შეუძლებელი იყო, ან მხარეს იმ ქონების განკარგვის უფლება არ გააჩნდა, რომელზეც ხელშეკრულება დაიდო.

მუხლი 4:103 (ძვ. 6.103) – ფაქტობრივი ან სამართლებრივი შეცდომა

(1) მხარეს ფაქტთან ან კანონთან დაკავშირებით დაშვებული შეცდომის გამო, რომელიც ხელშეკრულების დადებისას არსებობდა, ხელშეკრულების შეცილების უფლება აქვს, თუ:

- (a) (i) შეცდომა გამოწვეული იყო მეორე მხარის მიერ მოწოდებული ინფორმაციით; ან

- (ii) მეორე მხარემ იცოდა ან უნდა სცოდნოდა შეცდომის შესახებ და კეთილისინდისიერებისა და სამართლიანობის პრინციპების საწინააღმდეგოდ მხარეს ამის შესახებ არ აცნობა; ან
 - (iii) მეორე მხარემ დაუშვა იგივე შეცდომა, და
 - (b) მეორე მხარემ იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ მხარე სიმართლის ცოდნის შემთხვევაში ხელშეკრულებას არ დადებდა ან თუ დადებდა, არსებითად სხვა პირობებით.
- (2) მხარე კარგავს შეცილების უფლებას, თუ საქმის გარემოებებიდან გამომდინარე:
- (a) მისი შეცდომა იყო მიუტყვებელი, ან
 - (b) საკუთარ თავზე აიღო შეცდომის რისკი.

მუხლი 4:104 (ძვ. 6.104) – უზუსტობა შეტყობინებისას

უზუსტობა განაცხადის გამოხატვას ან მის გადაცემაში მიჩნეულია იმ მხარის შეცდომად, რომელმაც გააკეთა ან გააგზავნა განაცხადი და ამ შემთხვევაში გამოიყენება მუხლი 4:103.

მუხლი 4:105 (ძვ. 6.105) – ხელშეკრულების ადაპტაცია

- (1) თუ მხარეს უფლება აქვს საცილო გახადოს ხელშეკრულება შეცდომის გამო, მაგრამ მეორე მხარე მიუთითებს, რომ სურს შესრულება, ან რეალურად ასრულებს მას, მიიჩნევა, რომ ხელშეკრულება დაიღო ისე, როგორც ეს შეცილების უფლების მქონე მხარემ გაიგო. მეორე მხარემ უნდა მიუთითოს შესრულების სურვილი, ან ხელშეკრულების შეასრულოს დაუყოვნებლივ მას შემდეგ, რაც გაიგებს, თუ როგორ იქნა ხელშეკრულება აღქმული შეცილების უფლების მქონე მხარის მიერ და მანამ, სანამ ეს მხარე შეცილების ნებისმიერ შეტყობინებაზე დაყრდნობით იმოქმედებს.
- (2) ასეთი მითითების ან შესრულების შემდეგ, ხელშეკრულების შეცილების უფლება აღარ არსებობს და ნებისმიერი ადრინდელი შეტყობინება შეცილების თაობაზე ძალას კარგავს.
- (3) როდესაც ორივე მხარემ დაუშვა ერთი და იგივე შეცდომა, სასამართლომ რომელიმე მხარის მოთხოვნით შეიძლება ხელშეკრულება განმარტოს ისე, როგორც ის გონივრულად დაიდებოდა, შეცდომა რომ არ მოხდარიყო.

მუხლი 4:106 (ძვ. 6.106) – მცდარი ინფორმაცია

მხარემ, რომელმაც დალო ხელშეკრულება იმ მცდარ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელიც მეორე მხარემ მიაწოდა, შეიძლება ზიანის ანაზღაურება 4:117 (2) და (3) მუხლის შესაბამისად მაშინაც კი მოითხოვოს, როცა ინფორმაცია უფლებას არ აძლევს, ხელშეკრულება 4:103 მუხლის თანახმად შეცდომის საფუძველზე საცილო გახადოს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მხარეს, ვინც ინფორმაცია გასცა მისი მართებულობის დაჯერების მიზეზი ჰქონდა.

მუხლი 4:107 (ძვ. 6.107) – თაღლითობა

(1) მხარემ შეიძლება საცილო გახადოს ხელშეკრულება, რომელიც მეორე მხარის თაღლითური წარმომადგენლობით დაიღო, სიტყვებით თუ მოქმედებით, ან თუ მეორე მხარემ თაღლითურად დაუმალა რაიმე ინფორმაცია, რომელიც კეთილისინდისიერებისა და სამართლიანობის პრინციპების თანახმად, უნდა გაემხილა.

(2) მხარის წარმომადგენლობა ან ინფორმაციის დამალვა არის თაღლითური, თუ ის იყო მოტყუების განზრახვით.

(3) იმის განსასაზღვრად, კეთილისინდისიერებისა და სამართლიანობის პრინციპები მოითხოვდა თუ არა, რომ მხარეს გაემხილა კონკრეტული ინფორმაცია, ყურადღება უნდა მიექცეს ყველა გარემოებას, შემდეგის ჩათვლით:

(a) მხარეს ჰქონდა თუ არა შესაბამისი პროფესიული ცოდნა;

(b) რელევანტური ინფორმაციის მოპოვების ხარჯები;

(c) შეეძლო თუ არა მეორე მხარეს თავად მოეპოვებინა ინფორმაცია;

და

(d) მეორე მხარისთვის ინფორმაციის აშკარა მნიშვნელობა.

მუხლი 4:108 (ძვ. 6.108) – მუქარა

მხარემ შეიძლება საცილო გახადოს ხელშეკრულება, როცა ის მეორე მხარის იმ გარადაუევალი და სერიოზული მოქმედების მუქარით დაიღო, რომელიც:

(a) თავისთავად ზიანის მომტანია, ან

(b) საზიანოა, როგორც ხელშეკრულების დასაღებად მხარის დათანხმების საშუალება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა პირველ მხარეს სხვა გონივრული ალტერნატივა აქვს.

მუხლი 4:109 (ძვ. 6.109) – გადაჭარბებული სარგებელი ან უსამართლო უპირატესობა

- (1) მხარეს შეცილების უფლება აქვს, თუ ხელშეკრულების დადებისას:
 - (a) ის იყო დამოკიდებული მეორე მხარეზე, ან მის მიმართ განსაკუთრებული ნდობა ჰქონდა, იყო ეკონომიკურ გასაჭირში ან უკიდურესად სასწრაფო საჭიროების პირობებში, იყო წინდაუხედავი, არმცოდნე, გამოუცდელი ან აკლდა ვაჭრობის უნარი, და
 - (b) მეორე მხარემ იცოდა ან უნდა სცოდნოდა ამის შესახებ და მოცემული გარემოებებითა და ხელშეკრულების მიზნით სარგებელი მიიღო პირველი მხარის მდგომარეობიდან იმ გზით, რომელიც იყო აშკარად უსამართლო ან მიიღო გადაჭარბებული სარგებელი.
- (2) შეცილების უფლების მქონე მხარის მოთხოვნით სასამართლომ შეიძლება, გარემოებებიდან გამომდინარე, ხელშეკრულება განმარტოს ისე, როგორც ეს კეთილისინდისიერებისა და სამართლიანობის პრინციპების დაცვის შემთხვევაში იქნებოდა.
- (3) სასამართლომ მსგავსად შეიძლება განმარტოს ხელშეკრულება იმ მხარის მოთხოვნით, რომელსაც შეცილების შეტყობინება მიუვიდა გადაჭარბებული სარგებლის ან უსამართლო უპირატესობის გამო, იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელი ამის შესახებ შეცილების უფლების მქონე პირს შეტყობინების მიღებიდან დაუყოვნებლივ აცნობებს იქამდე, სანამ შეცილების უფლების მქონე პირი შეცილებასთან დაკავშირებით მოქმედებას დაიწყებს.

მუხლი 4:110 (ძვ. 6.110) – უსამართლო პირობები, ინდივიდუალური შეთანხმების გარეშე

- (1) მხარემ შეიძლება საცილო გახადოს პირობა, რომელიც ინდივიდუალურად შეთანხმებული არ ყოფილა, თუ კეთილისინდისიერებისა და სამართლიანობის პრინციპების საწინააღმდეგოდ, მხარის საზიანოდ ის მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებში მნიშვნელოვან უთანასწორობას იწვევს. ასეთ

შემთხვევაში, მხედველობაში მიიღება ვალდებულების არსი და ყველა სხვა გარემოება, რაც ხელშეკრულების დადების დროს მოქმედებდა.

(2) ეს მუხლი არ ვრცელდება:

- (a) ხელშეკრულების არსებითი პირობების მიმართ, რომელიც ნათლად და გასაგებადაა ჩამოყალიბებული, ან
- (b) მხარეთა ვალდებულებების ურთიერადეკვატურობაზე.

მუხლი 4:111 (ძვ. 6.111) – მესამე პირები

(1) როცა მესამე პირი, ვისი მოქმედებებისთვისაც მხარე პასუხისმგებელია, ან ვინც მხარესთან შეთანხმებით ჩართულია ხელშეკრულების დადებაში:

- (a) გამოიწვევს შეცდომას მცდარი ინფორმაციის მიცემით და იცის ან უნდა იცოდეს შეცდომის შესახებ,
- (b) გასცემს მცდარ ინფორმაციას,
- (c) ჩაიდენს თაღლითობას,
- (d) ემუქრება, ან

(e) იღებს გადაჭარბებულ სარგებელს ან უსამართლო უპირატესობას, ამ თავის მიხედვით, მის მიმართ დაზარალებულ მხარეს იგივე მოთხოვნები აქვს, რაც მეორე მხარის მიმართ ექნებოდა.

(2) როცა ნებისმიერი მესამე პირი:

- (a) გასცემს მცდარ ინფორმაციას,
- (b) ჩაიდენს თაღლითობას,
- (c) ემუქრება, ან

(d) იღებს გადაჭარბებულ სარგებელს ან უსამართლო უპირატესობას, ამ თავის მიხედვით, ზიანის ანაზღაურება შესაძლებელი იქნება, თუ მხარემ იცოდა ან უნდა სცოდნოდა მნიშვნელოვანი ფაქტები ან ხელშეკრულების შეცვლებისას ის ხელშეკრულებაზე დაყრდნობით არ მოქმედებდა.

მუხლი 4:112 (ძვ. 6.112) – შეტყობინება შეცილების შესახებ

შეცილება უნდა განხორციელდეს მეორე მხარისთვის შეტყობინებით.

მუხლი 4:113 (ძვ. 4.113) – ვადები

(1) შეტყობინება შეცილების თაობაზე გონივრულ ვადაში უნდა გაიგზავნოს, გარემოებებიდან გამომდინარე, მას შემდეგ, რაც შემცილებელმა

მხარემ შეიტყო ან უნდა შეეტყო მნიშვნელოვანი ინფორმაცია ან შეძლო თავისუფლად ემოქმედა.

- (2) მხარემ შეიძლება საცილო გახადოს ხელშეკრულების ცალკეული პუნქტი 4:110 მუხლის შესაბამისად, თუ იგი მეორე მხარის მიერ პირობაზე დაყრდნობიდან გონივრულ ვადაში შეცილებაზე შეტყობინებას გააგზავნის.

მუხლი 4:114 (ძვ. 6.114) – დადასტურება

თუ შეცილების უფლების მქონე მხარე ეთანხმება ხელშეკრულებას, და ეს ამკარაა ან ივარაუდება, მას შემდეგ, რაც შეცილების საფუძვლები გაიგო, ან შეძლო ემოქმედა თავისუფლად, შეცილების უფლება კარგავს ძალას.

მუხლი 4:115 (ძვ. 6.116) – შეცილების შედეგი

შეცილების უფლების გამოყენების შემდეგ მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს ხელშეკრულების მთლიანი ან ნაწილობრივი შესრულების რესტიტუცია, იმის გათვალისწინებით, რომ თავად მოახდენს ხელშეკრულების საფუძველზე მთლიანი ან ნაწილობრივი მიღებული შესრულების რესტიტუციას. თუ ნატურით რესტიტუცია შეუძლებელია, მაშინ უკან დაბრუნება შესაბამისი თანხის გადახდის გზით უნდა მოხდეს.

მუხლი 4:116 (ძვ. 6.115) – ნაწილობრივი შეცილება

თუ შეცილების საფუძველი ენება მხოლოდ ხელშეკრულების ცალკეულ პირობას, შეცილების უფლების გამოყენება ამ პირობის მიმართ მთლიან ხელშეკრულებაზე გავლენას არ ახდენს, თუ გარემოებებიდან გამომდინარე, არაგონივრულია მთლიანი ხელშეკრულების შესრულება.

მუხლი 4:117 (ძვ. 6.117) – ზიანი

- (1) მხარე, რომელიც ამ თავის მიხედვით შეცილების უფლებას განახორციელებს, შეიძლება მეორე მხარისგან ზიანი ისე აინაზღაუროს, რომ ხელშეკრულების შემცილებელი მხარე ისეთ მდგომარეობაში ჩაადგეს, როგორშიც იქნებოდა ხელშეკრულება რომ არ დაედო, იმ პირობით, რომ მეორე მხარემ იცოდა ან უნდა სცოდნოდა შეცდომის, თაღლითობის, მუქარის ან გადაჭარბებული მოგების ან უსამართლო უპირატესობის შესახებ.

- (2) თუ მხარეს უფლება აქვს, ამ თავის მიხედვით საცილო გახადოს ხელშეკრულება, მაგრამ ამ უფლებას არ იყენებს ან ეს უფლება 4:113 ან 4:114 მუხლების მიხედვით დაკარგა, შეიძლება ზიანი ამ მუხლის (1) პუნქტით ანაზღაუროს, ყველა დანაკლისის შესაბამისად, რაც გამოწვეულია შეცდომით, თაღლითობით, მუქარით ან გადაჭარბებული მოგების ან უსამართლო უპირატესობის მიღებით. იმავე წესით, ზიანის ანაზღაურება გამოიყენება, როცა მხარე შეცდომაში შევიდა მცდარი ინფორმაციით 4:106 მუხლის მიხედვით.
- (3) ზიანის ანაზღაურება უნდა შეესაბამებოდეს მე-9 თავის, მე-5 ნაწილის პირობებს, შესაბამისი ცვლილებების გათვალისწინებით.

მუხლი 4:118 (ძვ. 6.118) – ზიანის ანაზღაურების გამორიცხვა ან აკრძალვა

- (1) ზიანის ანაზღაურება თაღლითობის, მუქარისა და გადაჭარბებული მოგების ან უსამართლო უპირატესობის მიღების გამო და უფლება იმ უსამართლო პირობის შეცილებაზე, რომელიც ინდივიდუალურად შეთანხმებული არ ყოფილა, არ შეიძლება გამოირიცხოს ან აიკრძალოს.
- (2) ზიანის ანაზღაურება შეცდომის და მცდარი ინფორმაციისთვის შეიძლება გამოირიცხოს ან აიკრძალოს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა გამორიცხვა ან აკრძალვა კეთილისინდისიერებისა და სამართლიანობის პრინციპებს ეწინააღმდეგება.

მუხლი 4:119 (ძვ. 6.119) – ზიანის ანაზღაურება ვალდებულების დარღვევისას

მხარეს, რომელსაც ამ თავის მიხედვით გათვალისწინებულ შემთხვევებში ვალდებულების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების უფლება აქვს, შეუძლია გამოიყენოს სამართლებრივი დაცვის ნებისმიერი საშუალება.

თავი 5 – განმარტება

მუხლი 5:101 (ძვ. 7.101/101 A) - განმარტების ძირითადი პრინციპები

- (1) ხელშეკრულება განმარტება პირთა საერთო ნების მიხედვით იმ შემთხვევაშიც, თუ იგი სიტყვათა პირდაპირი მნიშვნელობისაგან განსხვავდება.

- (2) თუ აშკარაა, რომ ერთ-ერთ მხარეს სურდა ხელშეკრულება გარკვეული მნიშვნელობით გაეგო და მეორე მხარეს, ხელშეკრულების დადებისას, უნდა სცოდნოდა ამის შესახებ, ხელშეკრულება განიმარტება პირველი მხარის ნების შესაბამისად.
- (3) იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა ნების დადგენა შეუძლებელია (1) ან (2) პუნქტის მიხედვით, ხელშეკრულება განიმარტება ისე, როგორც მოს გონივრულად მოაზროვნე, ხელშეკრულების მხარეების ანალოგიურ პირობებში მყოფი ადამიანი განმარტავდა.

მუხლი 5:102 (ძვ. 7.102) – არსებითი გარემოებები

ხელშეკრულების განმარტებისას, ყურადღება უნდა მიექცეს:

- (a) გარემოებებს, რომელთა პირობებშიც დაიდო ხელშეკრულება და მიმდინარეობდა წინასახელშეკრულებო მოლაპარაკებები;
- (b) ხელშეკრულების მხარეთა მოქმედებებს, მათ შორის, ხელშეკრულების დადების შემდეგ;
- (c) ხელშეკრულების ბუნებას და მიზანს;
- (d) განმარტებებს, რომლებიც მხარეების მიერ იყო გაკეთებული ანალოგიური წესების მიმართ, აგრეთვე, მათ შორის არსებულ საქმიან პრაქტიკას;
- (e) პირობების და გამონათქვამების მნიშვნელობას, რომელიც მოცემულ სფეროში ზოგადად აღიარებულია და იმ განმარტებებს, რომლებიც შესაძლებელია მსგავს დათქმაში უკვე იყო მოცემული;
- (f) ჩვეულებებს;
- (g) კეთილისინდისიერებისა და სამართლიანობის პრინციპებს.

მუხლი 5:103 (ძვ. 7.103) – Contra Proferentem წესი

თუ არსებობს ეჭვი ხელშეკრულების იმ პირობის შინაარსთან დაკავშირებით, რომელიც მხარეებს ინდივიდუალურად არ შეუთანხმებიათ, მაშინ უპირატესობა უნდა მიენიჭოს პირობის წამომყენებლის ნების საპირისპირო განმარტებას.

მუხლი 5:104 (ძვ. 7.104) – შეთანხმებული პირობების უპირატესობა

იმ პირობებს, რომლებზეც მხარეები ინდივიდუალურად შეთანხმდნენ, ენიჭებათ უპირატესობა იმ პირობებთან შედარებით, რომლებზეც ასეთი შეთანხმება არ მიღწეულა.

მუხლი 5:105 – ხელშეკრულების მთლიანობა

ხელშეკრულების პირობების განმარტება ხდება ხელშეკრულების მთლიანი შინაარსის გათვალისწინებით.

მუხლი 5.106 (ძვ. 7.106) – (სრული) შედეგის დადგომაზე ორიენტირებული პირობები

უპირატესობა ენიჭება განმარტებას, რომლის თანახმად, ხელშეკრულების პირობები კანონზომიერად ან სამართლებრივი შედეგის მქონედ მიიჩნევაა და არა პირიქით.

მუხლი 5.107 (ძვ. 7.107) – ენობრივი შეუსაბამობები

იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულება შედგენილია ორ ან მეტ ენაზე და მითითებული არაა, მათ შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, რომელ მათგანს ენიჭება უპირატესობა, განმარტებისას, უპირატესობა მიენიჭება იმ ენას, რომელზეც ხელშეკრულება პირველად შედგა.

თავი 6 – შინაარსი და სამართლებრივი ძალა

მუხლი 6.101 (ძვ. 8.101) – განცხადებები, რომლებიც წარმოშობენ სახელშეკრულებო ვალდებულებებს

(1) განცხადებამ, რომელიც გაკეთებულია ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების დადებამდე ან დადებისას, შეიძლება წარმოშვას სახელშეკრულებო ვალდებულება, თუ მეორე მხარემ ის, გარემოებებისა და კონივრულობის გათვალისწინებით, ასეთი მნიშვნელობით გააიგო. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია:

- (a) განცხადების შინაარსის მნიშვნელობა მეორე მხარისათვის;
- (b) გაკეთებულია თუ არა განცხადება საქმიანი ურთიერთობის დროს;
- და
- (c) მხარეების შესაბამისი პროფესიული ცოდნა.

- (2) თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე პროფესიონალი მიმწოდებელია და რეკლამით ან სხვა მსგავსი ფორმით ხელშეკრულების დადებამდე გასცემს ინფორმაციას მომსახურების, მისაწოდებელი საქონლის ან სხვა პროდუქციის ხარისხისა და დანიშნულების შესახებ, მაშინ მის მიერ გაკეთებული განცხადებები შეიძლება განხილული იქნას, როგორც სახელშეკრულებო ვალდებულების წყარო, თუ არ დამტკიცდება, რომ მეორე მხარემ იცოდა ან უნდა სცოდნოდა ამ ინფორმაციის უზუსტობის შესახებ.
- (3) თუ პირი პროფესიონალ მიმწოდებელს სთავაზობს მომსახურების, საქონლის ან სხვა პროდუქციის შესყიდვას ან ეს პირი მანამდე საქმიან ურთიერთობაში იმყოფებოდა მიმწოდებელთან, ეს შეთავაზება პროფესიონალი მიმწოდებლისთვის განიხილება, როგორც სახელშეკრულებო ვალდებულების წყარო, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ უკანასკნელმა არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა ამ ინფორმაციის ან დაპირების შესახებ.

მუხლი 6.102 (ძვ. 5.108) – ნაგულისხმევი პირობები

გარდა სიტყვა-სიტყვით შეთანხმებული პირობებისა, შესაძლებელია, რომ ხელშეკრულება შეიცავდეს ნაგულისხმევ პირობებს, რაც შეიძლება გამომდინარეობდეს:

- (a) მხარეთა მიერ გამოვლენილი ნებიდან;
- (b) ხელშეკრულების ბუნებიდან და მიზნიდან; და
- (c) კეთილისინდისიერებისა და სამართლიანობის პრინციპების შესაბამისი საქმიანი პრაქტიკიდან.

მუხლი 6:103 – თვალთმაქცური გარიგება

თუ თვალთმაქცურად დადებული გარიგებით მხარეებს სურდათ სხვა გარიგების დაფარვა, მაშინ მხარეთა ურთიერთობაში გამოიყენება დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი წესები.

მუხლი 6:104 (ძვ. 2.101) – ფასის დადგენა

თუ ხელშეკრულებაში მხარეები არ შეთანხმდნენ ფასზე ან ფასის განსაზღვრის წესზე, მაშინ ივარაუდება, რომ მხარეები შეთანხმდნენ კონივრულ ფასზე.

მუხლი 6:105 (ძვ. 2.102) – მხარის მიერ პირობების ცალმხრივი განსაზღვრა

თუ ფასი ან ხელშეკრულების სხვა პირობა უნდა განისაზღვროს ერთი მხარის მიერ და ის აშკარად არაგონივრულადაა განსაზღვრული, მაშინ მისი შეცვლა გონივრული ფასით ან გონივრული პირობით უნდა მოხდეს, მიუხედავად იმისა, ეს შეესაბამება თუ არა ხელშეკრულების რომელიმე სხვა პირობას.

მუხლი 6:106 (ძვ. 2.103) – მესამე პირის მიერ პირობების განსაზღვრა

- (1) იმ შემთხვევაში, თუ ფასი ან ხელშეკრულების სხვა პირობა მესამე პირის მიერ უნდა დადგინდეს და მას არ შეუძლია ან არ სურს მისი დადგენა, მიიჩნევა, რომ მხარეებმა სასამართლოს მიანიჭეს მესამე პირის დანიშვნის უფლებამოსილება ხელშეკრულების პირობების დასადგენად.
- (2) იმ შემთხვევაში, თუ ფასი ან ხელშეკრულების სხვა პირობა, რომელიც მესამე პირის მიერაა დადგენილი, აშკარად არაგონივრულია, ის უნდა შეიცვალოს გონივრული ფასით ან პირობით.

მუხლი 6:107 (ძვ. 2.104) – მითითება არარსებულ გარემოებაზე

იმ შემთხვევაში, თუ ფასი ან ხელშეკრულების სხვა პირობა უნდა დადგინდეს რაიმე გარემოებაზე დაყრდნობით და ეს გარემოება არ ან აღარ არსებობს ან მასზე დაყრდნობა შეუძლებელია, გამოყენებული უნდა იქნას ყველაზე მსგავსი გარემოება.

მუხლი 6:108 (ძვ. 2.105) – შესრულების ხარისხი

თუ ხელშეკრულებაში არაა შეთანხმებული ვალდებულების შესრულების ხარისხი, მაშინ მოვალე ვალდებულია განახორციელოს სულ მცირე საშუალო ხარისხის შესრულება.

მუხლი 6:109 (ძვ. 2.109) – უვადო ხელშეკრულება

უვადოდ დადებული ხელშეკრულების შეწყვეტა შეუძლია ნებისმიერ მხარეს ამისათვის გონივრული ვადის დაწესებით.

მუხლი 6:110 (2.115) – პირობა მესამე პირის სასარგებლოდ

- (1) მესამე პირს შეუძლია სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება მოითხოვოს, თუ ასეთი უფლება შეთანხმებული იყო ხელშეკრულების მხარეებს შორის ან გამოდინარეობს ხელშეკრულების მიზნიდან ან საქმის გარემოებებიდან. ხელშეკრულების დადებისას მესამე პირის ვინაობა შეიძლება განსაზღვრული არ იყოს.
- (2) თუ მესამე პირი უარს იტყვის შესრულების მოთხოვნაზე, ივარაუდება, რომ მას მსგავსი უფლება საერთოდ არ გააჩნდა.
- (3) დაპირების მიმღებს უფლება აქვს, დაპირების გამცემისადმი შეტყობინების წესის დაცვით, მესამე პირს ჩამოართვას უფლება შესრულების მიღებაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:
 - (a) დაპირობის მიმღებმა შეატყობინა მესამე პირს, რომ მინიჭებული უფლება შეუქცევადია, ან
 - (b) დაპირების გამცემმა ან მიმღებმა მესამე პირისაგან შეტყობინება მიიღეს მინიჭებული უფლების გამოყენების თაობაზე.

მუხლი 6:111 (ბვ. 2.117) – შეცვლილი გარემოებები

- (1) მხარე ვალდებულია შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება მაშინაც კი, როდესაც შესრულება გართულდა, რამდენადაც გაიზარდა შესრულების ხარჯი ან შეეცირდა მისაღები შესრულების ღირებულება.
- (2) თუ ხელშეკრულების შესრულება გარკვეული გარემოებების შეცვლის გამო მნიშვნელოვნად გართულდა, მხარეები ვალდებულნი არიან, დაიწყონ მოლაპარაკებები ხელშეკრულების შეცვლის ან შეწყვეტის თაობაზე, თუ:
 - (a) გარემოებათა ცვლილება ხელშეკრულების დადების შემდეგ მოხდა;
 - (b) გარემოებათა ცვლილების შესაძლებლობის დადგენა შეუძლებელი იყო ხელშეკრულების დადების დროს; და
 - (c) გარემოებათა შეცვლის რისკი, ხელშეკრულების თანახმად, დაზარებულ მხარეს არ აკისრია.
- (3) თუ მხარეები გონივრულ ვადაში შეთანხმებას ვერ მიაღწევენ, მაშინ სასამართლო უფლებამოსილია:
 - (a) შეწყვიტოს ხელშეკრულება იმ მომენტიდან და იმ პირობებით, რომლებსაც ის თვითონ მიიჩნევს მიზანშეწონილად; ან

(b) ისე მოარგოს ხელშეკრულება შექმნილ მდგომარეობას, რომ ზარალი და მოგება, რომელიც შეცვლილი გარემოებებიდან გამომდინარეობს, სამართლიანად და გონივრულად გადანაწილდეს მხარეებსზე.

ორივე შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია ზიანის ანაზღაურება დააკისროს იმ მხარეს, რომელიც უარს განაცხადებს მოლაპარაკებაზე ან შეწყვეტს მოლაპარაკებას კეთილსინდისიერებისა და სამართლიანობის პრინციპის დარღვევით, იმ ზიანისათვის, რომელიც მეორე მხარეს ამის გამო მიადგა.

თავი 7 – შმსრულება

მუხლი 7:101 (ძვ. 2.106) – შესრულების ადგილი

(1) თუ სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი არც ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული და მისი დადგენა არც ხელშეკრულებიდან გამომდინარეა შესაძლებელი, მაშინ შესრულების ადგილია:

(a) ფულადი ვალდებულების შემთხვევაში, ხელშეკრულების დადების დროისთვის კრედიტორის საქმიანობის ადგილი;

(b) სხვა სახის ვალდებულების შემთხვევაში, ხელშეკრულების დადების დროისთვის მოვალის საქმიანობის ადგილი;

(2) თუ ერთ-ერთ მხარეს ერთზე მეტი საქმიანობის ადგილი აქვს, შესრულების ადგილის გასწავლვისას უპირატესობა მიენიჭება იმ ადგილსამყოფელს, რომელიც ყველაზე მჭიდრო კავშირშია ხელშეკრულებასთან, იმ გარემოებათა გათვალისწინებით, რის თაობაზეც მხარეებმა იცოდნენ და გაითვალისწინეს ხელშეკრულების დადებისას.

(3) თუ მხარეს არ გააჩნია საქმიანობის ადგილი, მის საქმიანობის ადგილად მისი ჩეულებრივი ადგილსამყოფელი მიიჩნევა.

მუხლი 7:102 (ძვ. 2.107) – შესრულების დრო

მხარემ ვალდებულება უნდა შეასრულოს:

- (1) იმ დროისათვის, რომელიც პირდაპირაა ხელშეკრულებაში განსაზღვრული ან ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე შესაძლებელია მისი დადგენა;
- (2) ხელშეკრულებით განსაზღვრულ ან ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე დროის ნებისმიერ მონაკვეთში, თუ კონკრეტული ურთიერთობის შინაარსიდან არ გამომდინარეობს, რომ მეორე მხარეს დროის განსაზღვრულ მონაკვეთში ნებისმიერ დროს აქვს შესრულების მოთხოვნის უფლება.
- (3) სხვა შემთხვევაში, ხელშეკრულების დადების შემდგომ კონკრეტულ ვადაში.

მუხლი 7:103 (ძვ. 2:108) – ვადამდე შესრულება

- (1) მხარე უფლებამოსილია, უარი თქვას ვალდებულების ვადამდე შესრულების მიღებაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ვადამდე შესრულების მიღება საგრძნობლად არ ლახავს მის ინტერესებს.
- (2) თუ მხარე ვადამდე შესრულებას მიიღებს, მაშინ ეს ზეგავლენას არ მოახდენს მის მიერ შესასრულებელი ვალდებულების ვადაზე.

მუხლი 7:104 – შესრულების წესი

მხარეების მიერ ურთიერთ ვალდებულების ერთდროულად შესრულების შესაძლებლობის შემთხვევაში, მხარეები ვალდებული არიან დაიცვან ეს წესი, თუ გარემოებებიდან გამომდინარე, სხვა რამ არ დგინდება.

მუხლი 7:105 – ალტერნატიული შესრულება

- (1) თუ ვალდებულების შესრულება მიიღწევა ერთ-ერთი ალტერნატიული ვალდებულების შესრულებით, არჩევის უფლება ეძლევა იმ მხარეს, რომელმაც უნდა შეასრულოს ვალდებულება, თუ ვალდებულებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.
- (2) თუ მხარე, რომელმაც არჩევანი უნდა გააკეთოს, გადაწყვეტილებას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში არ მიიღებს, და:
 - (a) ამით არჩევანის გაკეთების უფლება მნიშვნელოვნად შეფერხდება, მაშინ არჩევანის გაკეთების უფლება კონტრაქტზე გადავა;
 - (b) ამით არჩევანის გაკეთების უფლება უმნიშვნელოდ შეფერხდება, მაშინ კონტრაქტს შეუძლია დაადგინოს ახალი გონივრული ვადა,

რომლის განმავლობაშიც მხარე ვალდებულია, მიიღოს გადაწყვეტილება. თუ მხარე ამ ვადაშიც არ მიიღებს გადაწყვეტილებას, მაშინ გადაწყვეტილების მიღების უფლება კონტრაქტზე გადავა.

მუხლი 7:106 (ძვ. 2.116) – შესრულება მესამე პირის მიერ

- (1) იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ხელშეკრულებით მოვალე ვალდებულია პირადად შეასრულოს ვალდებულება, კრედიტორს არ შეუძლია უარი განაცხადოს მესამე პირის მიერ შესრულებაზე, თუ:
 - (a) მესამე პირი მოვალის თანხმობის საფუძველზე მოქმედებს, ან
 - (b) მესამე პირს შესრულებასთან დაკავშირებით საფუძვლიანი ინტერესი აქვს და მოვალემ არ შეასრულა ვალდებულება ან აშკარაა, რომ არ შეასრულებს ვალდებულებას დადგენილ ვადაში.
- (2) პირველი პუნქტით გათვალისწინებული შესრულება მოვალეს შესრულების ვალდებულებისგან ათავისუფლებს.

მუხლი 7:107 (ძვ. 2.110) – გადახდის ფორმა

- (1) ფულადი ვალდებულების შესრულება შესაძლებელია საქმიან პრაქტიკაში მიღებული ნებისმიერი ფორმით.
- (2) თუ კრედიტორი, ხელშეკრულების საფუძველზე ან პირადი ნებით მიიღებს ჩეკს ან სხვა ფასიან ქაღალდს ან შესრულების შეპირებას, ივარაუდება, რომ იგი ამას მხოლოდ მისი განაღდების შესაძლებლობის პირობით აკეთებს. კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს თავდაპირველი შესრულება, თუ ვერ განახორციელა ფასიანი ქაღალდის განაღდება ან მოვალემ არ შეასრულა დანაპირები.

მუხლი 7:108 (ძვ. 2.111) – გადახდის ვალუტა

- (1) მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ, რომ გადახდა მხოლოდ განსაზღვრული ვალუტით განხორციელდეს.
- (2) ასეთი შეთანხმების არარსებობისას, თანხა, რომელიც განსაზღვრულია შესრულების ადგილისგან განსხვავებულ ვალუტაში, შეიძლება შესრულდეს ამ ადგილის შესაბამის ვალუტაში, გადაცვლის კურსის შესაბამისად, რომელიც შესრულების დროისთვის ამ ადგილზეა დადგენილი.

(3) თუ მეორე პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მოვალემ დროულად არ შეასრულა ვალდებულება, კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს შესრულება იმ ადგილის შესაბამის ვალუტაში, სადაც უნდა მომხდარიყო შესრულება, ან იმ გადაცვლის კურსის შესაბამისად, რომელიც იქ შესრულებისათვის თავდაპირველად გათვალისწინებულ დროს ან დაგვიანებული გადახდის დროისთვის იყო დადგენილი.

მუხლი 7:109 (ძვ. 2.112) – ვალდებულებების გაქვითვა

(1) თუ ერთ-ერთი მხარე ვალდებულია შეასრულოს მსგავსი სახის რამდენიმე ვალდებულება და თუ კრედიტორისათვის შეთავაზებული შესრულება სრულად არ ფარავს მის ყველა ვალდებულებას, მაშინ, ამ მუხლის მეოთხე პუნქტის შესაბამისად, შესრულებასთან ერთად მას შეუძლია კონკრეტულად მიუთითოს, თუ რომელი ვალდებულება იფარება ამ შესრულებით.

(2) თუ მოვალე არ აკეთებს ასეთ მინიშნებას, მაშინ კრედიტორს, გონივრულ ვადაში შეუძლია აირჩიოს, თუ რომელი ვალდებულების დაფარვას ემსახურება ეს შესრულება. კრედიტორმა უნდა შეატყობინოს მოვალეს თავისი გადაწყვეტილების შესახებ. ბათილია შესასრულებელი ვალდებულების დაფარვის არჩევის შესახებ გადაწყვეტილება, რომელიც ეხება:

- (a) ჯერ არ დამდგარ; ან
- (b) კანონსაწინააღმდეგო; ან
- (c) სადავო ვალდებულებებს.

(3) თუ არცერთ მხარეს არ მიუღია გადაწყვეტილება შესასრულებელი ვალდებულების დაფარვის არჩევის შესახებ, ამ მუხლის მე-4 პუნქტის გათვალისწინებით, შესრულება შეეხება იმ ვალდებულებებს, რომლებიც მოცემული რიგითობით ჩამოთვლილ ერთ-ერთ კრიტერიუმს აკმაყოფილებენ:

- (a) ვალდებულება, რომელიც ვადა მოსულია ან რომლის შესრულების ვადაც ყველაზე ადრე დადგება;
- (b) ვალდებულება, რომელიც ყველაზე ნაკლებადაა უზრუნველყოფილი;
- (c) ვალდებულება, რომელიც შესასრულებლად ყველაზე მძიმეა;
- (d) ვალდებულება, რომელიც ყველაზე ადრე წარმოიშვა.

თუ ჩამოთვლილთაგან არცერთი კრიტერიუმი არ არსებობს, მაშინ შესრულება პროპორციულად გადანაწილება ყველა ვალდებულებაზე.

(4) თუ კრედიტორს სხვა გადაწყვეტილება არ მიუღია, ფულადი ვალდებულებების შემთხვევაში, შესრულება შეეხება ჯერ ხარჯებს, შემდეგ პროცენტს და ბოლოს დასაფარ ძირ თანხას.

მუხლი 7:110 (ძვ. 2.113) – უარი ნივთის მიღებაზე

(1) პირი, რომელიც, მატერიალური ქონების (გარდა ფულისა) მფლობელად რჩება იმიტომ, რომ მეორე მხარე არ იღებს მას ან არ იბრუნებს უკან, ვალდებულია განახორციელოს გონივრული ქმედებები ნივთის დასაცავად და შესანარჩუნებლად.

(2) მფლობელს შეუძლია თავისი გადაცემის ან დაბრუნების ვალდებულებისგან გათავისუფლდეს ისე, რომ:

(a) საჭირო პირობების გათვალისწინებით, მეორე მხარის სასარგებლოდ, ნივთი შესანახად გადასცეს მესამე პირს და ამის შესახებ შეატყობინოს მხარეს, ან

(b) მხარისათვის შეტყობინების შემდეგ, საჭირო პირობების გათვალისწინებით, გაყიდოს ნივთი და გადაუხადოს მას მიღებული თანხა.

(3) თუ ნივთები მალფუჭებადია ან მათი შენახვა არაგონივრულად დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, მფლობელი ვალდებულია განახორციელოს საჭირო ღონისძიებები მათ გასაყიდად. მას შეუძლია გათავისუფლდეს გადაცემის ან დაბრუნების ვალდებულებისგან, მიღებული თანხის მეორე მხარისთვის გადახდის გზით.

(4) მფლობელს, გონივრულობის ფარგლებში, უფლება აქვს მოითხოვოს შესრულებული მოქმედებების შედეგად წარმოშობილი ხარჯების ანაზღაურება ან გამოაკლოს გაყიდვის შედეგად მიღებულ გადასაცემ თანხას.

მუხლი 7:111 (ძვ. 2.114) – უარი ფულადი ვალდებულების შესრულების მიღებაზე

თუ ერთ-ერთი მხარე უარს ამბობს ფულადი ვალდებულების შესრულების მიღებაზე, რომელსაც მას მეორე მხარე სათანადო წესით სთავაზობს, ამ უკანასკნელს შეუძლია ვალდებულება შეასრულოს იმით, რომ მხარისათვის შეტყობინების შემდეგ, მის სასარგებლოდ, თანხა ვალდებულების შესრუ-

ლების ადვილზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ანგარიზე შეიტანოს.

მუხლი 7:112 (ძვ. 2.115) – შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯები
თითოეული მხარე ვალდებულია გაიღოს საკუთარი ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯები.

თავი 8 – ვალდებულების დარღვევა და სამართლებრივი დაცვის ზოგადი საშუალებები

მუხლი 8:101 (ძვ. 3.101) – სამართლებრივი დაცვის საშუალებები

- (1) მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისას, თუ 8:108 მუხლის თანახმად დარღვევა საპატიო არაა, დაზარალებულ მხარეს უფლება აქვს გამოიყენოს მე-9 თავით გათვალისწინებული ნებისმიერი სამართლებრივი დაცვის საშუალება.
- (2) როდესაც მხარის მიერ ვალდებულების დარღვევა 8:108 მუხლის თანახმად საპატიოა და მიჩნეული, დაზარალებულ მხარეს შეუძლია მე-9 თავით გათვალისწინებულ ნებისმიერ სამართლებრივი დაცვის საშუალებას მიმართოს, გარდა ვალდებულების შესრულებისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისა.
- (3) კრედიტორს უფლება არა აქვს მე-9 თავით გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვის საშუალებას მიმართოს, თუ მეორე მხარის მიერ ვალდებულების დარღვევა მისმა ქმედებმა გამოიწვია.

**მუხლი 8:102 (ძვ. 3.102) – სამართლებრივი დაცვის საშუალებების კუ-
მულაცია**

სამართლებრივი დაცვის საშუალებები, რომლებიც ურთიერთშეუთავსებელი არაა, შესაძლებელია გაერთიანდეს. კერძოდ, მხარეს არ ჩამოერთმევა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მის მიერ სამართლებრივი დაცვის სხვა რომელიმე საშუალების გამოყენების შემთხვევაში.

მუხლი 8:103 (ძვ. 3.103) – ვალდებულების არსებითი დარღვევა

ვალდებულების დარღვევა ხელშეკრულების მიმართ არსებითია, თუ:

- (a) ვალდებულების ზედმიწევნით შესრულება ხელშეკრულების არსს წარმოადგენს, ან;
- (b) დარღვევა დაზარალებულ მხარეს ხელშეკრულებით მინიჭებულ მოსალოდნელ უფლებას სრულად უკარგავს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მეორე მხარემ არ გაითვალისწინა და არც შეეძლო გაეთვალისწინებინა ეს შედეგი, ან;
- (c) ვალდებულების დარღვევა განზრახია და დაზარალებულ მხარეს აძლევს საშუალებას ივარაუდოს, რომ ვალდებულების დარღვევა მომავალშიც გაგრძელდება.

მუხლი 8:104 (ძვ. 3.104) – ხელახალი შესრულება ვალდებულების დამრღვევი მხარის მიერ

მხარეს, რომლის ვალდებულების შესრულებასაც მეორე მხარე არ იღებს, იმ მიზეზით, რომ ის ხელშეკრულებას არ შეესაბამება, შეუძლია შესთავაზოს ახალი და ხელშეკრულებასთან შესაბამისი შესრულება, თუ შესრულების ვადა ჯერ არ დამდგარა ან შესრულების დაგვიანება ხელშეკრულების არსებით დარღვევად მიჩნეული არ იქნება.

მუხლი 8:105 (ძვ. 3.105) – ვალდებულების შესრულების გარანტია

- (1) მხარეს, რომელსაც აქვს გონივრული ვარაუდი, რომ მეორე მხარე ხელშეკრულებას არსებითად დაარღვევს, შეუძლია ჯეროვანი შესრულების ადეკვატური გარანტია მოითხოვოს და საკუთარი ვალდებულების შესრულებაზე უარი განაცხადოს იქამდე, სანამ ეს გონივრული ვარაუდი იარსებებს.
- (2) თუ გარანტია გონივრულ ვადაში უზრუნველყოფილი არ იქნა, მის მომთხოვნ მხარეს შეუძლია ხელშეკრულება შეწყვიტოს, თუ გონივრული ვარაუდი კვლავ არსებობს, რომ მეორე მხარე ხელშეკრულებას არსებითად დაარღვევს. კრედიტორმა ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს.

მუხლი 8:106 (ძვ. 3.106) – შეტყობინება ვალდებულების შესრულებისათვის დამატებითი ვადის განსაზღვრის შესახებ

- (1) ვალდებულების დარღვევის ნებისმიერ შემთხვევაში დაზარალებულ მხარეს შეუძლია მეორე მხარეს შეტყობინებით ვალდებულების შესრულების დამატებითი ვადა განუსაზღვროს.
- (2) დამატებითი ვადის განმავლობაში დაზარალებულმა მხარემ შეიძლება უარი განაცხადოს საპასუხო ვალდებულებების შესრულებაზე და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, მაგრამ სამართლებრივი დაცვის სხვა რომელიმე საშუალებას ვერ გამოიყენებს. თუ ის მიიღებს მეორე მხარისგან შეტყობინებას, რომ იგი ვალდებულებას დამატებით ვადაშიც არ შეასრულებს, ან ამ ვადის ამოწურვის შემდეგ ვალდებულება შესრულებული არ იქნება, დაზარალებულ მხარეს შეუძლია მე-9 თავით გათვალისწინებულ ნებისმიერ სამართლებრივი დაცვის საშუალებას მიმართოს.
- (3) თუ შესრულების დაგვიანებისას, რომელიც ხელშეკრულების არსებითი დარღვევა არ არის, დაზარალებულმა მხარემ მეორე მხარეს შეტყობინებით დამატებითი გონივრული ვადა განუსაზღვრა, მას შეუძლია ხელშეკრულება შეწყვიტოს ამ ვადის ამოწურვისას. კრედიტორმა თავის შეტყობინებაში შეიძლება განსაზღვროს, რომ თუ მოვალე განსაზღვრულ ვადაში ვალდებულებას არ შეასრულებს, კრედიტორი ავტომატურად წყვეტს ხელშეკრულებიდან. თუ განსაზღვრული ვადა ძალიან მცირეა, კრედიტორს შეუძლია გავიდეს ხელშეკრულებიდან, მხოლოდ შეტყობინებიდან გონივრული ვადის გასვლის შემდეგ.

მუხლი 8:107 (ძვ. 3.107) – ვალდებულების შესრულების მინდობა მესამე პირისათვის

მხარე, რომელიც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას მესამე პირს მიანდობს, მის შესრულებაზე თავადაა პასუხისმგებელი.

მუხლი 8:108 (ძვ. 3.108) – პატივსადები დამაბრკოლებელი გარემოებები

- (1) მხარის მიერ ვალდებულების დარღვევა საპატიოა, თუ ის დაამტკიცებს, რომ ეს გამოიწვია მის კონტროლს მიღმა არსებულმა დამაბრკოლებელმა გარემოებებმა და ხელშეკრულების დადებისას მათი მხედ-

ველობაში მიღება ან ამ გარემოებების ან მისი შედეგების თავიდან არიდება შეუძლებელი იყო.

- (2) როდესაც დაბრკოლება მხოლოდ დროებითია, ამ მუხლით ვალდებულების შესრულებისაგან გათავისუფლება მოქმედებს იმ დროის განმავლობაში, სანამ დამაბრკოლებელი გარემოება არსებობს. თუმცა თუ შესრულების დაყოვნება ხელშეკრულების არსებით დარღვევას იწვევს, კრედიტორი მის მიმართ იმოქმედებს ისე, როგორც არსებითი დარღვევის შემთხვევაში იმოქმედებდა.
- (3) მხარე, რომელიც ვერ ასრულებს ვალდებულებას პატივსადები საფუძვლით, უნდა დარწმუნდეს, რომ შეტყობინება დამაბრკოლებელი გარემოებისა და შესრულებაზე მისი გავლენის შესახებ მეორე მხარემ გონივრულ ვადაში მიიღო მას შემდეგ, რაც მხარემ გაიგო ან უნდა გაეგო ამ გარემოებების არსებობის შესახებ. მეორე მხარემ აქვს ზიანის ანაზღაურების უფლება ნებისმიერი დანაკარგისათვის, რაც შეტყობინების მიუღებლობამ გამოიწვია.

მუხლი 8:109 (ძვ. 3.109) – შეთანხმება სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენების შეზღუდვის ან გამორიცხვის შესახებ

სამართლებრივი დაცვის საშუალებები ვალდებულების დარღვევისას შეიძლება გამოირიცხოს ან შეიზღუდოს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს კეთილინდობისიერებისა და სამართლიანობის პრინციპის საწინააღმდეგო იქნება.

თავი 9 – სამართლებრივი დაცვის სპეციალური საშუალებები ვალდებულების დარღვევისას

ნაწილი 1 – ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება

მუხლი 9:101 (ძვ. 4.101) – ფულადი ვალდებულებები

- (1) კრედიტორი უფლებამოსილია კუთვნილი თანხა მიიღოს.
- (2) თუ კრედიტორს ვერ კიდევ არ შეუსრულებია თავისი ვალდებულება და ცხადია, რომ მოვალე შესრულების მიღებაზე უარს განაცხადებს, ამის მიუხედავად, კრედიტორმა შესაძლოა განახორციელოს შესრულება

და მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული კუთვნილი თანხა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ:

- (a) მას შეეძლო განეხორციელებინა გონივრული შემცველი შესრულება მნიშვნელოვანი ძალისხმევის ან ხარჯების გარეშე; ან
- (b) ვალდებულების შესრულება არსებული გარემოებებიდან გამომდინარე არაგონივრული იქნებოდა.

მუხლი 9:102 (ძვ. 4.102) – არაფულადი ვალდებულებები

- (1) ფულადი მოთხოვნის გარდა, დაზარალებულ მხარეს ვალდებულების ნატურით შესრულების მოთხოვნის უფლება აქვს, მათ შორის, ნაკლიანი შესრულების გამოსწორებით.
- (2) ნატურით ვალდებულების შესრულება ვერ მოხდება, როდესაც:
 - (a) ვალდებულების შესრულება არაკანონიერი ან შეუძლებელია; ან
 - (b) შესრულება მოვალის არაგონივრულ ძალისხმევას ან ხარჯებს გამოიწვევს; ან
 - (c) ვალდებულების შესრულება პირადი ხასიათის მომსახურებას ან სამუშაოს ითვალისწინებს ან დამოკიდებულია პირად ურთიერთობაზე, ან
 - (d) დაზარალებულ მხარეს შეუძლია ვალდებულების შესრულება სხვა გზით მიიღოს.
- (3) დაზარალებული მხარე დაკარგავს უფლებას ნატურით შესრულებაზე თუ ის ამას გონივრულ ვადაში არ მოითხოვს მას შემდეგ, რაც გაიგებს ან უნდა გაეგო ვალდებულების დარღვევის შესახებ.

მუხლი 9:103 (ძვ. 4.103) – ზიანის ანაზღაურების გამორიცხვის დაუშვებლობა

ფაქტი, რომ ვალდებულების შესრულების მოთხოვნა გამორიცხულია ამ ნაწილის მიხედვით, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებს არ გამორიცხავს.

ნაწილი 2 – ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლება

მუხლი 9:201 (ძვ. 4.201) – ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლება

- (1) მხარემ, რომელმაც ვალდებულება მეორე მხარესთან ერთად ან მის შემდეგ უნდა შეასრულოს, შეიძლება უარი თქვას მის შესრულებაზე იქამდე, სანამ მეორე მხარე ნაკისრ ვალდებულებას არ შეასრულებს. პირველმა მხარემ შესაძლოა ვალდებულების შესრულებაზე მთლიანად ან ნაწილობრივ თქვას უარი, თუ ეს გადაწყვეტლება არსებული გარემოებებიდან გამომდინარე გონივრულია.
- (2) მხარემ შესაძლოა უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე, თუ ნათელია, რომ მეორე მხარე დათქმულ ვადაში ვალდებულებას არ შეასრულებს.

ნაწილი 3 – ხელშეკრულების შეწყვეტა

მუხლი 9:301 (ძვ. 4.301) – ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება

- (1) მხარეს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ მეორე მხარემ მნიშვნელოვნად დაარღვია ვალდებულება.
- (2) ვალდებულების შესრულების დაგვიანებისას კრედიტორს შეუძლია გაიკიდეს ხელშეკრულებიდან 8:106 (3) მუხლზე დაყრდნობით.

მუხლი 9:302 (ძვ. 4.302) – ნაწილ-ნაწილ შესასრულებელი ხელშეკრულება

თუ ხელშეკრულება ნაწილ-ნაწილ უნდა შესრულდეს და იმ ნაწილთან დაკავშირებით, რომლის მიმართაც საპასუხო შესრულება უნდა განხორციელდეს, ადგილი აქვს მნიშვნელოვან დარღვევას, კრედიტორს შეუძლია ხელშეკრულებიდან გასვლის ამ ნაწილით გათვალისწინებული უფლება ამ ნაწილის მიმართ გამოიყენოს. მას შეუძლია მთლიანი ხელშეკრულებიდან გასვლა მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს მთლიანი ხელშეკრულების არსებითი დარღვევა.

მუხლი 9:303 (ძვ. 4.303) – შეტყობინება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ

- (1) მხარემ ხელშეკრულების შეწყვეტა უნდა განახორციელოს მეორე მხარისათვის შეტყობინების გაგზავნის გზით.
- (2) მხარე ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებას კარგავს, თუ მეორე მხარეს შეწყვეტის შესახებ გონივრულ ვადაში არ შეატყობინებს, მას შემდეგ, რაც გაიგო ან უნდა გაეგო მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევის თაობაზე.
- (3) როდესაც შესრულება დათქმულ ვადაში არ ხორციელდება, შესრულების განხორციელებამდე, დაზარალებულ მხარეს არ სჭირდება ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე შეტყობინების გაგზავნა. თუ შესრულება მოგვიანებით განხორციელდება, მიმღები მხარე ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებას კარგავს, თუ ამის თაობაზე შეტყობინება გონივრულ ვადაში არ გაუგზავნა მას შემდეგ, რაც გაიგო ან უნდა გაეგო მოვალის მხრიდან შესრულების შესახებ.
- (4) თუ დაზარალებულმა მხარემ იცის, ან ვარაუდობს, რომ მეორე მხარე გონივრულ ვადაში ვალდებულების შესრულებას ჯერ კიდევ აპირებს და დაზარალებული მხარე არ ატყობინებს მეორე მხარეს, რომ არ მიიღებს შესრულებას, ის ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებას კარგავს, თუ მეორე მხარემ ვალდებულება გონივრულ ვადაში შეასრულა.
- (5) თუ ვალდებულების დარღვევა აბსოლუტური და მუდმივი პატივსადები საფუძვლითაა გამოწვეული 8:108 მუხლის მიხედვით, ხელშეკრულება ავტომატურად შეწყვეტილად მიიჩნევა შეტყობინების გარეშე პატივსადები საფუძვლის წარმოქმნისთანავე.

მუხლი 9:304 (ძვ. 4.304) – ვალდებულების მოსალოდნელი დარღვევა

თუ ვალდებულების შესრულების დროის დადგომამდე ნათელია, რომ ვალდებულება დაირღვევა, მეორე მხარეს შეუძლია ხელშეკრულება შეწყვიტოს.

მუხლი 9:305 (ძვ. 4.305) – ხელშეკრულების შეწყვეტის ზოგადი შედეგები

- (1) ხელშეკრულებიდან გასვლა ათავისუფლებს ორივე მხარეს ვალდებულების სამომავლო შესრულებისაგან, მაგრამ 9.306 – 9:308 მუხლების

თანხმად, გავლენას არ ახდენს უფლებებსა და მოვალეობებზე, რომლებიც მხარეებმა ხელშეკრულების შეწყვეტით მოიპოვეს.

- (2) ხელშეკრულების შეწყვეტა გავლენას არ ახდენს ხელშეკრულების იმ მუხლებზე, რომლებიც ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის გადაწყვეტის საკითხებს აწესრიგებენ ან სხვა რომელიმე მუხლზე, რომელიც ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ სამოქმედოდაა გათვალისწინებული.

მუხლი 9:306 (ძვ. 4.306) – ქონების ღირებულების შემცირება

მხარეს, რომელიც ხელშეკრულებას წყვეტს, შეუძლია უარი თქვას მეორე მხარისგან ადრე მიღებულ ქონებაზე, თუ მისი ღირებულება მისთვის არსებითად შემცირებულია მეორე მხარის მიერ ვალბულების დარღვევის გამო.

მუხლი 9:307 (ძვ. 4.307) – გადახდილი თანხის დაბრუნება

ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია უკან გამოითხოვოს იმ შესრულებისთვის გადახდილი თანხა, რომელიც მეორე მხარისაგან ვერ მიიღო ან რომლის მიღებაზეც მან მართებულად განაცხადა უარი.

მუხლი 9:308 (ძვ. 4.308) – ქონების დაბრუნება

ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია გამოითხოვოს ქონება, რომელიც მან მიაწოდა მეორე მხარეს, თუ სანაცვლოდ თანხა ან საპასუხო შესრულება არ მიუღია.

მუხლი 9:309 (ძვ. 4.309) – ანაზღაურება იმ შესრულებისთვის, რომლის გამოთხოვა შეუძლებელია

ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარემ, რომელმაც განახორციელა შესრულება, რომლის გამოთხოვაც შეუძლებელია და რომლის სანაცვლოდაც ანაზღაურება ან საპასუხო შესრულება არ მიუღია, შეიძლება მეორე მხარისაგან შესრულების გონივრული ღირებულება მოითხოვოს.

ნაწილი 4 – ფასის შემცირება

მუხლი 9:401 (ძვ. 4.401) – ფასის შემცირების უფლება

- (1) მხარემ, რომელიც ხელშეკრულებით გათვალისწინებულთან შედარებით არაჯეროვან შესრულებას იღებს, შეიძლება ფასის შემცირება მოითხო-

ვოს. ეს შემცირება უნდა იყოს ჯეროვანი და განხორციელებული შესრულებების ღირებულების პროპორციული.

- (2) მხარე, რომელიც უფლებამოსილია, ფასი შეამციროს წინა პუნქტის მიხედვით და უკვე გადაიხადა შესრულების ზედმეტი ღირებულება, უფლებამოსილია დაიბრუნოს ის თანხა, რაც შემცირებულ და გადახდილ ფასებს შორის სხვაობას შეადგენს.
- (3) მხარე, რომელიც მოითხოვს ფასის შემცირებას, კარგავს ფასის შემცირების გამო ზიანის ანაზღაურების უფლებას, მაგრამ შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება სხვა ნებისმიერი დანაკარგისათვის, რაც გათვალისწინებულია ამ თავის მე-5 ნაწილში.

ნაწილი 5 – ზიანის ანაზღაურება და სარგებელი

მუხლი 9:501 (ძვ. 4.501) – ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება

- (1) დაზარალებული მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება იმ დანაკარგისთვის, რაც გამოწვეულია მეორე მხარის მიერ ვალდებულების დარღვევით და რომელიც 8:108 მუხლის მიხედვით, საპატიო არაა.
- (2) ანაზღაურებადი ზიანი მოიცავს:
 - (a) არაფულად დანაკარგებს; და
 - (b) მიუღებელ შემოსავალს, რომელიც სამომავლოდ გონივრულად მოსალოდნელია.

მუხლი 9:502 (ძვ. 4.502) – ზიანის ოდენობის განსაზღვრა

ზიანის ოდენობა განისაზღვრება იმ მდგომარეობის გათვალისწინებით, რომელიც დაზარალებულისთვის დადგებოდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. ზიანის ანაზღაურება ფარავს დაზარალებული მხარის დანაკარგსა და მიუღებელ შემოსავალს.

მუხლი 9:503 (ძვ. 4.503) – წინასწარგანჭვრეტადობა

ვალდებულების დამრღვევი მხარე ვალდებულია აანაზღაუროს მხოლოდ ის დანაკარგი, რომელიც წინასწარ იყო გონივრულად მოსალოდნელი ან მოვალეს შეეძლო გონივრული ვარაუდით განესაზღვრა ხელშეკრულების დადებისას, როგორც ვალდებულების დარღვევის შედეგი, გარდა იმ

შემთხვევისა, თუ ვალდებულების დარღვევა გამოწვეულია განზრახვით ან უხეში გაუფრთხილებლობით.

მუხლი 9:504 – დაზარალებულის ბრალი ზიანის დადგომაში (ახალი, ძვ. 4:504-ის ნაწილი)

მოვალე არ ანაზღაურებს ზიანს, თუ დაზარალებულმა მხარემ ვალდებულების დარღვევას ან მის შედეგებს თავად შეუწყო ხელი.

მუხლი 9:505 – დანაკარგის შემცირება (ძვ. 4.504-ის ნაწილი)

- (1) მოვალე არ აგებს პასუხს იმ დანაკარგისთვის, რაც დაზარალებულს მიადგა იმ ნაბიჯების გადაუდგმელობით, რომელთა განხორციელებაც მისი მხრიდან გონივრული იყო.
- (2) დაზარალებული მხარე უფლებამოსილია, მოითხოვოს იმ ხარჯების ანაზღაურება, რაც მას ზიანის შემცირების გონივრული მცდელობისას წარმოეშვა.

მუხლი 9:506 (ძვ. 4.505) – გარიგების ჩანაცვლება

თუ დაზარალებულმა მხარემ ხელშეკრულება შეწყვიტა და შემცველი ხელშეკრულება გონივრულ ვადაში და გონივრული მოქმედებით განახორციელა, იგი უფლებამოსილია მოითხოვოს თავდაპირველი და სანაცვლო ხელშეკრულებების ფასებს შორის სხვაობა, ასევე, ზიანის ანაზღაურება იმ ნებისმიერი სამომავლო დანაკლისისთვის, რაც ანაზღაურებადია ამ ნაწილით.

მუხლი 9:507 (ძვ. 4.506) – მიმდინარე ფასი

თუ დაზარალებული მხარე ხელშეკრულებიდან გავიდა და სანაცვლო ხელშეკრულება არ დაუდია, მაგრამ სახეზეა მიმდინარე ფასი შესრულებისთვის, რომელზეც ხელშეკრულება დადო, შესაძლებელია მან ანაზღაუროს ძველ და ახალ ფასს შორის განსხვავება, რაც ხელშეკრულებიდან განვლისას არსებობდა, ასევე, ზიანი ნებისმიერი სხვა დანაკლისისთვის, რაც ამ თავით ანაზღაურებადია.

მუხლი 9:508 (ძვ. 4.507) – თანხის გადახდის დაგვიანება

- (1) თუ თანხის გადახდა დაგვიანდა, დაზარალებულ მხარეს შეუძლია ამ თანხაზე კომერციული ბანკების მიერ მოკლევადიან სესხებზე დადგენილი საშუალო საპროცენტო განაკვეთით სარგებელი მოითხოვოს, ვალდებულების შესრულების ვადის დადგომიდან მის შესრულებამდე პერიოდში. დაზარალებულ მხარეს შეუძლია უპირატესობა მიანიჭოს იმ ვალუტას, რაც ხელშეკრულებაშია გათვალისწინებული იმ ადგილის მიხედვით, სადაც გადახდა უნდა მოხდეს.
- (2) დაზარალებულ მხარეს შეუძლია დამატებით ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს ნებისმიერი სხვა დანაკლისისთვის, რაც ანაზღაურებადია ამ თავით.

მუხლი 9:509 (ძვ. 4.508) – შეთანხმებული ანაზღაურება ვალდებულების დარღვევისთვის

- (1) თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს, რომ მხარე, რომელიც დაარღვევს ვალდებულებას, გადაიხდის ზუსტად განსაზღვრულ თანხას, დაზარალებულმა მხარემ უნდა მიიღოს ეს თანხა ზიანის რეალური მოცულობის მიუხედავად.
- (2) ნებისმიერ თანხაზე შეთანხმების მიუხედავად, თანხა შეიძლება შემცირდეს გონივრულ ოდენობამდე, თუ ის ზიანის რეალურ მოცულობაზე გადამეტებულია, რაც ვალდებულების დარღვევამ და სხვა გარემოებებმა გამოიწვია.

მუხლი 9:510 (ძვ. 4.509) – ვალუტა, რომელშიც განისაზღვრება ზიანის ოდენობა

ზიანი უნდა ანაზღაურდეს იმ ვალუტაში, რომელიც ყველაზე მეტად ხელსაყრელია დაზარალებული მხარისთვის.

**მვროკის სახელმწიფო სამართლის პრინციპები
III ნაწილი, 2002**

**(I და II ნაწილები, შესწორებული 1998 წელს,
ნაწილი III – 2002 წელს)**

თავი 10 – მხარეთა სიმრავლე

ნაწილი 1 – მოვალეთა სიმრავლე

**მუხლი 10:101 – სოლიდარული, ნაწილობრივი და საერთო
ვალდებულებები**

- (1) სოლიდარული ვალდებულების დროს ყველა მოვალე ვალდებულია, განახორციელოს ერთი და იგივე ვალდებულება და კრედიტორი კი უფლებამოსილია, მოითხოვოს მისი შესრულება თითოეული მათგანისაგან მანამ, სანამ ვალდებულება მთლიანად არ იქნება შესრულებული.
- (2) ნაწილობრივი ვალდებულების დროს ყოველი მოვალე ვალდებულია, შესარულოს ვალდებულების მხოლოდ ნაწილი და კრედიტორი კი უფლებამოსილია, მოითხოვოს ყოველი მოვალისაგან ვალდებულების მხოლოდ ამ ნაწილის შესრულება.
- (3) საერთო ვალდებულების დროს ყველა მოვალე ვალდებულია, ერთობლივად განახორციელოს შესრულება და კრედიტორს შეუძლია, მოითხოვოს ვალდებულების შესრულება ყველა მოვალისგან ერთად.

მუხლი 10:102 – სოლიდარული ვალდებულების წარმოშობა

- (1) თუ რამდენიმე მოვალეს ერთი და იმავე კრედიტორის ვალი აქვს, გამომდინარე ერთი და იმავე ხელშეკრულებიდან, მაშინ ეს მოვალეები სოლიდარული მოვალეები არიან, თუ ხელშეკრულებით ან კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.
- (2) სოლიდარულ ვალდებულება წარმოიშვება, აგრეთვე, მაშინ, როცა რამდენიმე პირი პასუხს აგებს ერთი და იმავე ვალდებულებისთვის.
- (3) სოლიდარული ვალდებულება არსებობს იმ შემთხვევაშიც, როცა მოვალეები სხვადასხვა პირობებით არიან ვალდებულნი.

მუხლი 10:103 – ნაწილობრივი ვალდებულება

მოვალეები, რომლებიც ვალდებულნი არიან შეასრულონ ვალდებულების მხოლოდ ნაწილი, თანაბრად აგებენ პასუხს, თუ ხელშეკრულებით ან კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მუხლი 10:104 – საერთო ვალდებულებები: ზიანის ფულით ანაზღაურების მოთხოვნის სპეციალური წესი ვალდებულების დარღვევისას

თუ საერთო ვალდებულების დროს ვალდებულების დარღვევისას კრედიტორი ზიანის ანაზღაურებას ფულადი თანხით ითხოვს, მაშინ მოვალეები პასუხს აგებენ კრედიტორის წინაშე, როგორც სოლიდარული მოვალეები, თუ ეს არ ეწინააღმდეგება 10:101 (3)-ს.

მუხლი 10:105 – ვალდებულების განაწილება სოლიდარულ მოვალეებს შორის

- (1) ვალდებულება სოლიდარულ მოვალეებს შორის ნაწილდება თანაბრად, თუ ხელშეკრულებით ან კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი
- (2) თუ რამდენიმე პირი პასუხს აგებს მე-10:102 (2) მუხლით გათვალისწინებული ერთი და იმავე ზიანისათვის, მაშინ თითოეული მათგანის წილი განისაზღვრება პასუხისმგებლობის შესახებ დადგენილი ზოგადი პრინციპების თანახმად.

მუხლი 10:106 – ბალანსი მოვალეთა შორის

- (1) სოლიდარულ მოვალეს, რომელმაც მეტი ოდენობით შეასრულა მასზე დაკისრებული ვალდებულება, შეუძლია ყველა სხვა სოლიდარული მოვალისაგან მოითხოვოს შესაბამისი ანაზღაურება, ვალდებულების შესრულებისათვის საჭირო გონივრულად გაწეული ხარჯების ჩათვლით;
- (2) ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სოლიდარულ მოვალეს შეუძლია, კრედიტორის უპირატესი უფლებების დაცვით, ისარგებლოს კრედიტორის ყველა უფლებითა და გასაჩივრების საშუალებებით, მათ შორის, აქცესორული უზრუნველყოფის საშუალებებით, რათა შეძლოს წაუყენოს მოთხოვნა ყოველ სოლიდარულ მოვალეს იმ ოდენობით, რომელიც მას ეკუთვნის.

(3) თუ სოლიდარულ მოვალეს, მიუხედავად მისი ყველანაირი მცდელობისა, არ ძალუძს მიიღოს კომპენსაცია სხვა სოლიდარული მოვალისაგან, მაშინ სხვა სოლიდარული მოვალეების წილი, იმ მოვალის ჩათვლით, რომელმაც ვალდებულება შეასრულა, პროპორციულად იზრდება.

მუხლი 10:107 – ვალდებულების შესრულება, გაქვითვა და კონფუზია სოლიდარული ვალდებულებისას

- (1) სოლიდარული მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ან გაქვითვის შემთხვევაში ან კრედიტორის მიერ სოლიდარული მოვალის მიმართ ვალის გაქვითვისას, სხვა სოლიდარული მოვალეები თავისუფლდებიან კრედიტორის მიმართ ვალდებულების შესრულებისაგან უკვე შესრულებული ან გაქვითული ვალდებულების ოდენობით.
- (2) სოლიდარული მოვალის ვალდებულების გაერთიანება კრედიტორის მოთხოვნასთან ათავისუფლებს სხვა სოლიდარულ მოვალეებს მხოლოდ ამ მოვალის ვალდებულების წილის ოდენობით.

მუხლი 10:108 – ვალის პატიება ან მორიგება სოლიდარული ვალდებულების შემთხვევაში

- (1) ვალის პატიების ან მორიგების გზით სოლიდარული მოვალეები სრულად თავისუფლდებიან ვალდებულებისაგან, თუ ვალის პატიების ან მორიგების შესახებ შეთანხმება ამას ითვალისწინებს.
- (2) სოლიდარულ მოვალეებს შორის ურთიერთობის თვალსაზრისით ერთ-ერთი მოვალე თავისუფლდება ვალდებულებისგან იმ ოდენობით, რომელიც მას ეკისრებოდა გათავისუფლების მომენტიდან თავისი წილის შესაბამისად და არა იმ დამატებითი წილის თვალსაზრისით, რომელზეც მან შესაძლებელია პასუხი აგოს მე-10:106-ე (3) მუხლის აცის თანახმად.

მუხლი 10:109 – სასამართლო გადაწყვეტილების მოქმედება სოლიდარული ვალდებულების დროს

სოლიდარული მოვალის მიმართ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილება კრედიტორისადმი მისი პასუხისმგებლობის თაობაზე არ ვრცელდება:

- (a) კრედიტორისადმი სხვა სოლიდარული მოვალეების პასუხისმგებლობაზე; ან
- (b) სოლიდარულ მოვალეებს შორის კომპენსაციის მოთხოვნაზე 10:106-მუხლის თანახმად.

მუხლი 10:110 – ხანდაზმულობა სოლიდარული ვალდებულების არსებობისას

სოლიდარული მოვალისადმი კრედიტორის მოთხოვნის ხანდაზმულობა არ ვრცელდება:

- (a) კრედიტორისადმი სხვა სოლიდარული მოვალეების პასუხისმგებლობაზე; ან
- (b) სოლიდარულ მოვალეებს შორის კომპენსაციის მოთხოვნაზე 10:106-მუხლის თანახმად.

მუხლი 10:111 – სხვა შესაგებლები სოლიდარული ვალდებულების არსებობისას

- (1) სოლიდარულ მოვალეს შეუძლია წარუდგინოს კრედიტორს შესაგებელი, რომლის წარდგენა კრედიტორისადმი შეუძლია სხვა სოლიდარულ მოვალეს, თუ ასეთ შემთხვევაში საქმე არ შეეხება ისეთ შესაგებელს, რომელზედაც უფლება მხოლოდ ამ მეორე სოლიდარულ მოვალეს აქვს. ამ შესაგებლის წარდგენა არ ახდენს გავლენას სხვა სოლიდარულ მოვალეთა მიმართ ურთიერთობაზე.
- (2) სოლიდარულ მოვალეს, რომელსაც სხვა სოლიდარული მოვალეები თხოვენ ვალდებულების შესრულებას, უფლება აქვს სხვა მოვალეებისადმი გამოიყენოს კანონით ნებადართული ყველა ის შესაგებელი, რაც მას შეეძლო გამოეყენებინა კრედიტორის მიმართ.

ნაწილი 2 – კრედიტორთა სიმრავლე

მუხლი 10:201 – კრედიტორები სოლიდარულ, ნაწილობრივ და საერთო ვალდებულებებში

- (1) სოლიდარულია მოთხოვნა, როცა ყოველ კრედიტორს შეუძლია მოვალისაგან მოითხოვოს მთლიანი შესრულება და მოვალეს შეუძლია ნებისმიერი კრედიტორისადმი მიაქციოს შესრულება.

- (2) ნაწილობრივია მოთხოვნა, როცა მოვალეს ეკისრება ყოველი კრედიტორის მიმართ მხოლოდ მის წილად მოსული მოთხოვნის შესრულება და ყოველ კრედიტორს შეუძლია მისი კუთვნილი შესრულება მოითხოვოს.
- (3) საერთოა მოთხოვნა, როცა მოვალემ უნდა განახორციელოს შესრულება ყველა კრედიტორის მიმართ ერთობლივად და ყოველ კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს შესრულება მხოლოდ და მხოლოდ ყველა კრედიტორის სასარგებლოდ.

მუხლი 10:202 – გადანაწილება ნაწილობრივი სოლიდარული კრედიტორობის შემთხვევაში

ნაწილობრივ სოლიდარულ კრედიტორებს უფლება აქვთ თანაბარ წილებზე, თუ ხელშეკრულებით ან კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მუხლი 10:203 – შესრულებასთან დაკავშირებული სირთულეები საერთო მოთხოვნის არსებობისას

თუ საერთო მოთხოვნის მქონე კრედიტორებიდან ერთ-ერთი უარს ამბობს შესრულების მიღებაზე ან მას არ ძალუძს შესრულების მიღება, მაშინ მოვალეს შეუძლია გაითავისუფლოს თავი ვალდებულებისაგან ნივთის ან ფულადი თანხის მესამე პირისათვის დეპონირებით ან დეპოზიტზე შეტანით 7:110 ან 7:111 მუხლების შესაბამისად.

მუხლი 10:204 – სოლიდარული მოთხოვნების გადანაწილება

- (1) სოლიდარულ კრედიტორებს მოთხოვნის თანაბარი წილი ეკუთვნით, თუ ხელშეკრულებით ან კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.
- (2) კრედიტორი, რომელმაც მის კუთვნილ წილზე მეტი მიიღო, ვალდებულია ზედმეტი შესრულება დაუბრუნოს სხვა კრედიტორებს მათი წილების პროპორციულად.

მუხლი 10:205 – სოლიდარული კრედიტორობის მოწესრიგება

- (1) სოლიდარული კრედიტორებიდან ერთ-ერთის მიერ მოვალისათვის ვალის პატიება არ მოქმედებს სხვა კრედიტორების საზიანოდ.

- (2) 10:107, 10:109, 10:110 და 10:111 (1) მუხლებით გათვალისწინებული წესები გამოიყენება სოლიდარულ მოთხოვნებზე, შესაბამისი ცვლილებების გათვალისწინებით.

თავი 11 – მოთხოვნათა დათმობა ნაწილი 1 – ზოგადი პრინციპები

მუხლი 11:101 – მოქმედების სფერო

- (1) ამ ნაწილის დებულებები გამოიყენება ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლების დათმობის მოსაწესრიგებლად, რომელიც წარმოიშვება არსებული ან სამომავლო ხელშეკრულებიდან.
- (2) ამ ნაწილის დებულებები გამოიყენება, აგრეთვე, სხვა გადაცემადი მოთხოვნის უფლების დათმობის მიმართ, თუ სხვა რამ არ არის განსაზღვრული ან ფაქტობრივი გარემოებები სხვა მოწესრიგებას არ მოითხოვს.
- (3) ამ ნაწილის დებულებები არ გამოიყენება:
- (a) ფინანსური ინსტრუმენტების ან საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების დათმობაზე, თუ კანონის სხვაგვარი გამოყენების მიხედვით, ასეთი დათმობისათვის საჭიროა რეგისტრაცია რეესტრში, რომელიც იწარმოება ფასიანი ქაღალდის გამომცემის მიერ ან მისთვის; ან
 - (b) თამასუქის ან სხვა გადაცემადი ფასიანი ქაღალდის ან ისეთი ფასიანი ქაღალდის დათმობაზე, რომელიც იძლევა მასში აღნიშნული ნივთის საკუთრების უფლებას, თუ კანონის სხვაგვარი გამოყენების მიხედვით, ასეთი დათმობისთვის საჭიროა გადაცემა (საჭიროების შემთხვევაში ინდოსამენტით).
- (4) ამ ნაწილში გამოყენებული ცნება „დათმობა“ მოიცავს, აგრეთვე, მოთხოვნის დათმობას ფასიანი ქაღალდების გადაცემის გზით.
- (5) ამ ნაწილის დებულებების გამოყენება, შესაბამისი ცვლილებების გათვალისწინებით, შესაძლებელია ხელშეკრულებით განსაზღვრული მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებებზეც, გარდა მოთხოვნის დათმობის შემთხვევებისა.

მუხლი 11:102 – სახელშეკრულებო მოთხოვნების დათმობა

(1) 11:301 და 11:302 მუხლების პირობების გათვალისწინებით, ხელშეკრულების ნებისმიერ მხარეს შეუძლია ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მოთხოვნის დათმობა.

(2) სამომავლო მოთხოვნა, რომელიც წარმოიშვება არსებული ან სამომავლო ხელშეკრულების საფუძველზე, შეიძლება დათმობილ იქნას, თუ იგი თავისი წარმოშობის ან მხარეთა მიერ შეთანხმებული სხვა მომენტიან თავის ისეთ მოთხოვნად დაფიქსირდება, რომელსაც დათმობა შეეხება.

მუხლი 11:103 – ნაწილობრივი დათმობა

დაყოფადი მოთხოვნის უფლება შეიძლება ნაწილობრივად დათმობილ იქნას, მაგრამ კრედიტორი ვალდებულია აუნაზღაუროს მოვალეს ამასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯები.

მუხლი 11:104 – დათმობის ფორმა

მოთხოვნის უფლების დათმობისთვის სავალდებულო არ არის წერილობითი ფორმა და მასზე არ ვრცელდება ფორმის განმსაზღვრელი არავითარი წესი. იგი შეიძლება დადასტურებული იქნას ნებისმიერი საშუალებით, მათ შორის, მოწმეთა ჩვენების გზით.

ნაწილი 2 – მოთხოვნის დათმობის შედეგები და ურთიერთობა კვამლ და ახალ კრედიტორს შორის

მუხლი 11:201 – ახალ კრედიტორზე გადატანილი უფლებები

(1) მოთხოვნის დათმობის შედეგად ახალ კრედიტორზე გადადის:

- (a) მოთხოვნის უფლების საფუძველზე დათმობილი ძველი კრედიტორის ვალდებულების შესრულების ყველა უფლება; და
- (b) ყველა აქცესორული უფლება, რომელიც მოთხოვნის შესრულებას უზრუნველყოფს.

(2) თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნის უფლების დათმობა დაკავშირებულია იმასთან, რომ ახალი კრედიტორი თავის თავზე აიღებს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას, მაშინ ეს მუხლი გამოიყენება 12:201 მუხლის პირობის გათვალისწინებით.

მუხლი 11:202 – მოთხოვნის უფლების დათმობის ძალაში შესვლა

- (1) არსებული მოთხოვნის უფლების დათმობა ძალაში შედის მხარეთა მიერ დათმობის შესახებ მიღწეული შეთანხმების მომენტიდან ან იმ მომენტიდან, რომელზედაც ძველი და ახალი კრედიტორი შეთანხმდებიან.
- (2) სამომავლო მოთხოვნის უფლების დათმობა დაკავშირებულია მისი წარმოშობის მომენტთან; მაგრამ იგი ძალაში შედის მაინც მხარეთა მიერ მიღწეული შეთანხმების მომენტიდან ან იმ მომენტიდან, რომელზედაც შეთანხმდებიან ძველი და ახალი კრედიტორი.

მუხლი 11:203 – ახალი კრედიტორის უფლებები ძველ კრედიტორთან მიმართებით

მოთხოვნის უფლების დათმობა ნამდვილია ძველ და ახალ კრედიტორს შორის ურთიერთობაში და ახალ კრედიტორს ანიჭებს უფლებას ყველაფერ იმაზე, რასაც ძველი კრედიტორი მიიღებდა მოვალისგან, თუნდაც ეს დათმობა არანამდვილი იყოს მოვალის მიმართ 11:301 და 11:302 მუხლების მიხედვით.

მუხლი 11:204 – ძველი კრედიტორის გარანტიები

მოთხოვნის უფლების დათმობის ან დათმობის მცდელობისას ძველი კრედიტორი ახალ კრედიტორთან იღებს ვალდებულებას, რომ:

- (a) თუ მას ახალი კრედიტორის მიმართ არაფერი სხვა უღიარებია, იმ მომენტისათვის, როცა დათმობა ძალაში უნდა შევიდეს, შემდეგი პირობები იქნება შესრულებული:
 - (I) ძველი კრედიტორი უფლებამოსილია, დათმოს მოთხოვნის უფლება;
 - (II) მოთხოვნის უფლება ნამდვილია და ახალი კრედიტორის უფლებებს არ შეეხება რაიმე შესაგებელი ან შემსვედრი უფლებები (ვალდებულებათა გაქვითვის უფლების ჩათვლით), რომლებიც შესაძლოა მოვალეს ძველი კრედიტორის მიმართ ჰქონდეს; და
 - (III) ეს მოთხოვნა არ იყო წინა დათმობის საგანი ან უზრუნველყოფის საშუალებით დატვირთული სხვა მხარის სასარგებლოდ ან სხვაგვარად;

- (b) მოთხოვნის უფლება და ხელშეკრულება, რომლისაგანაც იგი შეიძლება წარმოსდგებოდეს, არ შეიძლება შეიცვალოს ახალი კრედიტორის თანხმობის გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ცვლილება გათვალისწინებულია დათმობის ხელშეკრულებაში ან თუ იგი კარგი განზრახვით განხორციელდება და ისეა ჩაფიქრებული, რომ ახალ კრედიტორს არ შეუძლია მისი გაპროტესტება; და
- (c) ძველი კრედიტორი ახალ კრედიტორს გადასცემს ყველა გადაცემად უფლებებს, რომლებიც განსაზღვრულია მოთხოვნის უზრუნველყოფისათვის და რომლებიც არ წარმოადგენენ აქცესორულ უფლებებს.

ნაწილი 3 – მოთხოვნის უფლების დათმობის შედეგები ახალ კრედიტორსა და მოვალეს შორის შრტიმართობაში

მუხლი 11:301 – მოთხოვნის უფლების დათმობის აკრძალვა ხელშეკრულებით

- (1) მოთხოვნის უფლების დათმობა, რომელიც აკრძალულია იმ ხელშეკრულებით, საიდანაც დათმობილი მოთხოვნა წარმოიშვა ან რომელიც ამ ხელშეკრულებას სხვაგვარად ეწინააღმდეგება, ბათილია მოვალის მიმართ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა:
- (a) მოვალე დაეთანხმა მოთხოვნის უფლების დათმობას; ან
 - (b) ახალმა კრედიტორმა არაფერი იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა ხელშეკრულების დარღვევის შესახებ; ან
 - (c) მოთხოვნის უფლების დათმობა ეფუძნება ფულადი ვალდებულების სამომავლო დათმობის შესახებ ხელშეკრულებას.
- (2) წინა პუნქტი არ შეეხება ხელშეკრულების დარღვევის გამო ძველი კრედიტორის პასუხისმგებლობას.

მუხლი 11:302 – მოთხოვნის უფლების დათმობის ბათილობის სხვა საფუძვლები

მოთხოვნის უფლების დათმობა, რომელსაც მოვალე არ ეთანხმება, მის მიმართ ბათილია, თუ იგი ისეთ შესრულებას შეეხება, რომლის განხორციელებაც სხვა პირის მიმართ, გარდა ძველი კრედიტორისა, შესრულების

ან მოვალესა და ძველ კრედიტორს შორის არსებული ვალდებულების არსიდან გამომდინარე, გონივრულად, მოვალეს არ შეიძლება მოეთხოვოს.

მუხლი 11:303 – მოვალის ვალდებულებები

- (1) 11:301, 11:302, 11:307 და 11:308-ე მუხლების გათვალისწინებით, მოვალე მხოლოდ მაშინ არის ვალდებული განახორციელოს შესრულება ახალი კრედიტორის მიმართ, თუ მას მიღებული აქვს წერილობითი შეტყობინება ძველი ან ახალი კრედიტორისაგან, რომელიც ახდენს დათმობილი მოთხოვნის უფლების იდენტიფიცირებას და მოუწოდებს მოვალეს, განახორციელოს შესრულება ახალი კრედიტორის მიმართ.
- (2) თუ ასეთ შეტყობინებას აგზავნის ახალი კრედიტორი, მოვალეს შეუძლია გონივრულ ვადაში მოითხოვოს მისგან დათმობის შესახებ უტყუარი საბუთის წარდგენა; საბუთის წარდგენამდე მოვალეს შეუძლია შესრულებისაგან თავი შეიკავოს.
- (3) თუ მოვალემ ამ მუხლის პირველ პუნქტში გათვალისწინებული წესისაგან განსხვავებული გზით შეიტყო მოთხოვნის უფლების დათმობის შესახებ, მას შეუძლია თავი შეიკავოს შესრულებისაგან ან განახორციელოს შესრულება ახალი კრედიტორის მიმართ.
- (4) თუ მოვალე განახორციელებს შესრულებას ძველი კრედიტორის მიმართ, მაშინ იგი გათავისუფლდება ვალდებულებისგან, თუ მან არ იცოდა მოთხოვნის უფლების დათმობის შესახებ და ისე განახორციელა შესრულება.

მუხლი 11:304 – მოვალის დაცვა

მოვალე, რომელიც ახორციელებს შესრულებას, 11:303 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნის უფლების დათმობის შესახებ შეტყობინებაში აღნიშნულია ახალი კრედიტორის მიმართ, თავისუფლდება ვალდებულებისგან, თუ მას არ შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ ეს პირი არ იყო უფლებამოსილი, მიეღო შესრულება

მუხლი 11:305 – ურთიერთსაწინააღმდეგო მოთხოვნები

მოვალეს, რომელმაც ერთი ან რამდენიმე პირისაგან ურთიერთსაწინააღმდეგო მოთხოვნების შემცველი შეტყობინებები მიიღო, შეუძლია გაითავისუფლოს თავი ვალდებულებისაგან, თუ იგი შესრულებას განახორციელებს.

ციელებს კანონის შესაბამისად, ვალდებულების შესრულების ადგილის მიხედვით, ან, თუ ვალდებულებები სხვადასხვა ადგილას არის შესასრულებელი, იმ კანონის შესაბამისად, რომელიც მოთხოვნის საკითხს აწესრიგებს.

მუხლი 11:306 – შესრულების ადგილი

- (1) თუ დათმობილი მოთხოვნის უფლება გარკვეულ ადგილას ფულადი ვალდებულების შესრულებას შეეხება, მაშინ ახალ კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ვალდებულების შესრულება სხვა ნებისმიერ ადგილას იმავე ქვეყნის ფარგლებში, ხოლო, თუ ეს ქვეყანა ევროკავშირის წევრია, მაშინ ნებისმიერ ადგილას ევროკავშირის ფარგლებში; მაგრამ ძველ კრედიტორს მოვალის მიმართ ეკისრება ყველა იმ დამატებითი ხარჯის ანაზღაურება, რომელიც მოვალეს წარმოეშევა შესრულების ადგილის ცვლილებასთან დაკავშირებით.
- (2) თუ დათმობილი მოთხოვნის უფლება გარკვეულ ადგილას ვალდებულების შესრულებას შეეხება, რომელიც არ მოიცავს ფულად ვალდებულებას, ახალ კრედიტორს არ შეუძლია მოითხოვოს ვალდებულების სხვა ადგილას შესრულება.

მუხლი 11:307 – მოთხოვნის შესაგებლები და გაქვითვის უფლება

- (1) მოვალეს შეუძლია ახალ კრედიტორს წაუყენოს მატერიალური თუ პროცესუალური ხასითის ყველა შესაგებელი, რომლის წარდგენის უფლებაც მას ძველი კრედიტორის მიმართ ჰქონდა.
- (2) მოვალეს შეუძლია ახალი კრედიტორის მიმართ გამოიყენოს მოთხოვნის გაქვითვასთან დაკავშირებული ყველა ის უფლება, რომელიც მას, მე-13 თავის შესაბამისად, ძველი კრედიტორის მიმართ ექნებოდა, თუ ეს მოთხოვნა:
 - (a) არსებობდა იმ მომენტისათვის, როცა მოვალეს მიუვიდა წერილობითი შეტყობინება მოთხოვნის უფლების დათმობის შესახებ, იმის მიუხედავად, შეესაბამება თუ არა ეს შეტყობინება 11:303 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს; ან
 - (b) თუ მჭიდრო კავშირშია დათმობილ მოთხოვნის უფლებასთან.

მუხლი 11:308 – ახალი კრედიტორის არამოჭავი ხელშეკრულების უნებართვო ცვლილება

მოთხოვნის უფლების ცვლილება, რომელზედაც ძველი კრედიტორი და მოვალე ახალი კრედიტორის თანხმობის გარეშე შეთანხმდნენ, მას შემდეგ, რაც მოთხოვნის უფლების დათმობის შესახებ შეტყობინება, იმის მიუხედავად, შეესაბამება თუ არა იგი 11:303 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს, მოვალეს მიუვა, უცვლელად ტოვებს მოვალის მიმართ ახალი კრედიტორის უფლებებს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ცვლილება გათვალისწინებულია მოთხოვნის უფლების დათმობის შესახებ შეთანხმებაში ან თუ იგი კარგი განზრახვით განხორციელდება და ისეა მოაზრებული, რომ ახალ კრედიტორს არ შეუძლია მისი გაპროტესტება.

ნაწილი 4 – ახალ და სხვა კრედიტორებს შორის მოთხოვნის უფლებათა დათმობის რიგითობა

მუხლი 11:401 – რიგითობა

- (1) მოთხოვნის უფლების ზედიზედ რამდენიმეჯერ დათმობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ახალ კრედიტორს, რომლის წინაშე მოთხოვნის უფლების დათმობის თაობაზე შეტყობინება მოვალეს ყველაზე ადრე მიეწოდება, ყველა სხვა კრედიტორებთან შედარებით, თუ ახალმა კრედიტორმა მის მიმართ მოთხოვნის უფლების დათმობის მომენტისათვის არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა ადრინდელი დათმობების შესახებ.
- (2) პირველი პუნქტის გათვალისწინებით, რამდენიმე ერთმანეთის მიყოლებით განხორციელებული მოთხოვნის უფლების დათმობის რიგითობა, მიუხედავად იმისა, საქმე შეეხება არსებულ თუ მომავალ მოთხოვნებს, განისაზღვრება იმ თანმიმდევრობით, რომლითაც ეს დათმობები განხორციელდა.
- (3) დათმობილ მოთხოვნასთან მიმართებით, ახალი კრედიტორის უფლება უპირატესია ძველი კრედიტორის იმ კრედიტორის უფლებასთან შედარებით, რომელიც სასამართლო გზით ან სხვაგვარად ცდილობს მოთხოვნის დაყადაღებას მას შემდეგ, რაც მოთხოვნის უფლების დათმობა, 11:202 მუხლის თანახმად, ძალაში შევიდა.

(4) ძველი კრედიტორის გაკოტრების შემთხვევაში ახალი კრედიტორის უფლებას უპირატესობა ენიჭება გაკოტრების მმართველის, ძველი კრედიტორისა და მისი კრედიტორების უფლებასთან შედარებით, გაკოტრების შესახებ არსებული იმ ნორმების გათვალისწინებით, რომლებიც შეეხება:

- (a) ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, როგორც რიგითობის აუცილებელ პირობას;
- (b) რიგითობას, მოთხოვნების თვალსაზრისით; ან
- (c) გაკოტრების საქმის წარმოების პროცესში გარიგებების საცილობას ან ბათილობას.

თავი 12 – ახალი მოვალის ჩანაცვლება: ხელშეკრულების გადაცემა

ნაწილი 1 – ახალი მოვალის ჩანაცვლება

მუხლი 12:101 – ჩანაცვლება: ძირითადი წესები

- (1) მესამე პირს უფლება აქვს, მოვალესა და კრედიტორს შორის შეთანხმების საფუძველზე, ჩანაცვლებულ იქნას მოვალედ იმ შედეგით, რომ თავდაპირველი მოვალე პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდება.
- (2) კრედიტორს უფლება აქვს წინასწარ დათანხმდეს მოვალის სამომავლო ჩანაცვლებაზე. ასეთ შემთხვევაში, ჩანაცვლება ძალაში შედის მას შემდეგ, რაც კრედიტორი ახალი მოვალის მიერ, შეთანხმების მიხედვით, შეტყობინებას მიიღებს. აღნიშნული შეთანხმება ახალ და თავპირველ მოვალეებს შორის მიიღწევა.

მუხლი 12:102 – ჩანაცვლების გავლენა შესაგებლებსა და ფასიან ქაღალდებზე

- (1) ახალ მოვალეს უფლება არა აქვს კრედიტორის წინააღმდეგ გამოიყენოს რაიმე უფლება ან მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება, რომელიც ახალ და თავდაპირველ მოვალეებს შორის ურთიერთობიდან გამომდინარეობს.
- (2) თავდაპირველი მოვალის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება, ასევე, ვრცელდება თავდაპირველი მოვალის ნებისმიერ უზრუნველყოფის საშუალებაზე, რომელიც ვალდებულების შესრულებისათვის

- კრედიტორს გადაეცა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა უზრუნველყოფა ეხება ქონებას, რომელიც გადაეცა ახალ მოვალეს, როგორც თავდაპირველ და ახალ მოვალეს შორის მიღწეული გარიგების ნაწილი.
- (3) თავდაპირველი მოვალის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებით, მოთხოვნისგან თავისუფლდება ის უზრუნველყოფის საშუალებაც, რომელიც გამოყენებულ იქნა ვალდებულების შესრულებისათვის არა ახალი მოვალის, არამედ ნებისმიერი სხვა პირის მიერ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს სხვა პირი დათანხმდება, რომ აღნიშნული უზრუნველყოფა კრედიტორისათვის დარჩეს ძალაში.
- (4) ახალ მოვალეს შეუძლია კრედიტორის წინააღმდეგ გამოიყენოს ყველა ის შესაგებელი, რომლის გამოყენებაც თავდაპირველ მოვალეს კრედიტორის მიმართ შეეძლო.

ნაწილი 2 – ხელშეკრულების გადაცემა

მუხლი 12:201 – ხელშეკრულების გადაცემა

- (1) ხელშეკრულების მხარეს შეუძლია მესამე პირს შეუთანხმდეს, რომ ეს უკანასკნელი ხელშეკრულების მხარედ ჩაენაცვლება. ასეთ შემთხვევაში, ჩანაცვლება ძალას იძენს მხოლოდ მაშინ, როცა მეორე მხარის თანხმობის შედეგად, პირველი მხარე პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდება.
- (2) იქიდან გამომდინარე, რომ ხელშეკრულების მხარედ მესამე პირის ჩანაცვლება მოიცავს ვალდებულების შესრულების მოთხოვნაზე („მოთხოვნა“) უფლების გადაცემასაც, გამოიყენება მე-11 თავის დებულებები; ვინაიდან ხდება ვალდებულებების გადაცემა, გამოიყენება მითითებული თავის პირველი ნაწილის დებულებები.

თავი 13 – მოთხოვნათა ურთიერთგაქვითვა

მუხლი 13:101 – მოთხოვნათა ურთიერთგაქვითვის წინაპირობები

თუ ორ მხარეს ერთმანეთის მიმართ ერთი და იმავე ხასიათის ვალდებულებები აქვს, თითოეულ მხარეს შეუძლია გაქვითოს შესრულების მოთხოვნის უფლება („მოთხოვნა“) მეორე მხარის მოთხოვნასთან მიმართებით, იმ შემთხვევაში და იმის გათვალისწინებით, რომ გაქვითვის

დროისათვის, პირველ მხარეს: (a) აქვს შესრულებაზე მოთხოვნის უფლება; და (b) შეუძლია, სხვა პირის მიერ ვალდებულების შესრულება მოითხოვოს.

მუხლი 13:102 – დაუდგენელი მოთხოვნები

- (1) მოვალეს არა აქვს უფლება მოახდინოს იმ ვალდებულების გაქვითვა, რომლის არსებობის ან რომლის ღირებულების დადგენა შეუძლებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა გაქვითვა სხვა მხარეთა ინტერესებს ზიანს არ მიაყენებს.
- (2) როდესაც ორივე მხარის მოთხოვნები გამოდინარეობს ერთი და იმავე სამართლებრივი ურთიერთობიდან, ივარაუდება, რომ სხვა მხარის ინტერესებს ზიანი არ მიადგება.

მუხლი 13:103 – მოთხოვნათა გაქვითვა უცხოური ვალუტით

როდესაც მხარეებს ერთმანეთის მიმართ თანხა სხვადასხვა ვალუტაში მართებთ, ორივე მხარეს შეუძლია გაქვითოს მეორე მხარის მოთხოვნა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მხარეები შეთანხმდნენ, რომ მხარე, რომელიც ითხოვს გაქვითვას, ვალდებულია აუცილებლად შეთანხმებულ ვალუტაში გადაიხადოს.

მუხლი 13:104 – შეტყობინება მოთხოვნათა გაქვითვის თაობაზე

მოთხოვნათა გაქვითვის უფლების განხორციელება სხვა მხარისათვის აღნიშნულის თაობაზე შეტყობინების გზით ხდება.

მუხლი 13:105 – მოთხოვნებისა და ვალდებულებების სიმრავლე

- (1) როდესაც მხარეს, რომელიც მოთხოვნათა გაქვითვის თაობაზე შეტყობინებას ახორციელებს, სხვა მხარის მიმართ ორი ან მეტი მოთხოვნა აქვს, ასეთი შეტყობინება სამართლებრივი ძალის მქონეა იმ შემთხვევაში, როცა შესაძლებელია იმის იდენტიფიცირება, თუ რომელ მოთხოვნას ეხება აღნიშნული შეტყობინება.
- (2) როდესაც მხარეს, რომელიც მოთხოვნათა გაქვითვის თაობაზე შეტყობინებას ახორციელებს, სხვა მხარის სასარგებლოდ ორი ან მეტი ვალდებულების შესრულება ეკისრება, გამოიყენება 7:109 მუხლში მოცემული წესები, შესაბამისი ცვლილებების გათვალისწინებით.

მუხლი 13:106 – მოთხოვნათა გაქვითვის სამართლებრივი შედეგი

მოთხოვნათა გაქვითვა ვალდებულებათა შესრულებისაგან ათავისუფლებს შეტყობინების განხორციელების მომენტიდან იმდენად, რამდენადაც გაქვითვები თანადროულია.

მუხლი 13:107 – მოთხოვნათა ურთიერთგაქვითვის გამორიცხვა

მოთხოვნათა გაქვითვა დაუშვებელია: (a) როდესაც იგი გამორიცხულია შეთანხმებითაა გამორიცხული; (b) იმ მოთხოვნის მიმართ, რომელზეც არ შეიძლება ყადაღის დადება; და (c) იმ მოთხოვნის მიმართ, რომელიც მომდინარეობს განზრახვი უკანონო ქმედებისგან.

**თავი 14 - ხანდაზმულობა
ნაწილი 1 – ზოგადი დებულებები**

მუხლი 14:101 – ხანდაზმულობას დაქვემდებარებული სარჩევები

ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება („მოთხოვნა“) ექვემდებარება ხანდაზმულობას ვადის გასვლამდე, ამ პრინციპების შესაბამისად.

ნაწილი 2 – ხანდაზმულობის ვადები და მათი ათვლა

მუხლი 14:201 – ზოგადი ვადა

ხანდაზმულობის ზოგადი ვადა სამი წელია.

მუხლი 14:202 – სამართალწარმოებით დადგენილი სასარჩელო ვადა

- (1) სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა ათი წელია.
- (2) იგივე ეხება საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებით ან სხვა საშუალებით დადგენილ მოთხოვნას, რომელსაც სასამართლო გადაწყვეტილების მსგავსად შესასრულებლად სავალდებულო ძალა ექნება.

მუხლი 14:203 – ვადის ათვლა

- (1) ხანდაზმულობის ზოგადი ვადა ათვლება იმ მომენტიდან, როცა მოვალემ უნდა განხორციელოს შესრულება ან, ზიანის ანაზღაურების

მოთხოვნის შემთხვევაში, იმ ქმედების განხორციელების მომენტიდან, რომელიც წარმოშობს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

- (2) ნაწილ-ნაწილ შესასრულებელი ვალდებულების დროს, როდესაც მოვალეს რაიმე ქმედების განხორციელების ან მისგან თავის შეკავების ვალდებულება ეკისრება, ხანდაზმულობის ზოგადი ვადა თითოეული ვალდებულების დარღვევისას ცალ-ცალკე აითვლება.
- (3) 14:202 მუხლში მოცემული ხანდაზმულობის ზოგადი ვადა აითვლება იმ მომენტიდან, როცა სასამართლოს ან არბიტრაჟის გადაწყვეტილება შევა კანონიერ ძალაში, თუმცა არა მოვალის მიერ შესრულების განხორციელების ვადის დადგომამდე.

ნაწილი 3 – ვადის გაგრძელება

მუხლი 14:301 – ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება

ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერდება იქამდე, სანამ კრედიტორმა არ იცის ან გონივრულობის ფარგლებში არ შეიძლება იცოდეს: ა) მოვალის ვინაობა; ან ბ) ფაქტები, რომლებიც წარმოშობს მოთხოვნის უფლებას და ზიანის ანაზღაურების უფლების შემთხვევაში – ზიანის სახე.

მუხლი 14:302 – ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება სასამართლო ან სხვა სამართალწარმოების გამო

- (1) ხანდაზმულობის ვადის დინება შეჩერდება სარჩელზე სამართალწარმოების დაწყების მომენტიდან.
- (2) შეჩერება გაგრძელდება გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე ან სანამ საქმის სხვაგვარად გადაწყვეტამდე;
- (3) ეს დებულებები შესაბამისი ცვლილებით გამოიყენება სასამართლო, საარბიტრაჟო და ყველა სხვა სამართალწარმოებასთან მიმართებით, რომლის მიზანია კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების მსგავსად, შესასრულებლად სავალდებულო სხვა საშუალების მოპოვება.

მუხლი 14:303 – ხანდაზმულობის ვადის დინების შეჩერება კრედიტორის პატივსაღები მიზეზის გამო

- (1) ხანდაზმულობის ვადის დინება შეჩერდება იქამდე, სანამ კრედიტორს შეზღუდული ექნება სასარჩელო მოთხოვნის განხორციელება პატივსაღები საფუძველით, რომელიც სცილდება კრედიტორის კონტროლს და რომელზეც კრედიტორს არ შეუძლია გონივრული მოლოდინი ჰქონდეს, თავიდან აიცილოს ან დაძლიოს.
- (2) პუნქტი (1) ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პატივსაღები საფუძველი წარმოიშვება ან არსებობს ხანდაზმულობის ვადის ბოლო ექვსი თვის განმავლობაში.

მუხლი 14:304 – ხანდაზმულობის ვადის გაგრძელება მოლაპარაკებების გამო

თუ მხარეები მოთხოვნის, ან იმ გარემოებების თაობაზე, რომელმაც შეიძლება მოთხოვნა წარმოშვას, მოლაპარაკებას აწარმოებენ, ხანდაზმულობის ვადა არ ამოიწურება მოლაპარაკებების ბოლო კომუნიკაციიდან ერთი წლის გასვლამდე.

მუხლი 14:305 – ხანდაზმულობის ვადის გაგრძელება ქმედუნარობის გამო

- (1) თუ ქმედუნარო პირი არის წარმომადგენლის გარეშე, ამ პირის ან მის მიმართ მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა არ ამოიწურება, სანამ ქმედუნარობის დასრულებიდან ან წარმომადგენლის დანიშნვიდან ერთი წელი არ გავა.
- (2) მოთხოვნაზე ხანდაზმულობის ვადა ქმედუნარო პირსა და ასეთი პირის წარმომადგენელს შორის არ ამოიწურება იქამდე, სანამ ქმედუნარობის დასრულებიდან ან წარმომადგენლის დანიშნვიდან ერთი წელი არ გავა.

მუხლი 14:306 – ხანდაზმულობის ვადის გაგრძელება: გარდაცვლილის ქონება

როცა კრედიტორი ან მოვალე გარდაიცვლება, ხანდაზმულობის ვადა გარდაცვლილის ქონების მიმართ არსებულ მოთხოვნებზე, არ ამოიწურება სანამ მემკვიდრეების ან ქონებაზე უფლებამოსილი პირის მიერ ან მის წინააღმდეგ მოთხოვნის აღსრულებიდან ერთი წელი არ გავა.

მუხლი 14:307 - ხანდაზმულობის მაქსიმალური ვადა

ამ პრინციპების შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადა არ შეიძლება გაგრძელდეს მისი გაშვების ან ვადის გასვლის თარიღის გადადების შეჩერებით ათ წელზე მეტი ვადით ან პირადი ზიანის შესახებ მოთხოვნის შემთხვევაში, – 30 წელზე მეტი ვადით. ეს პირობა არ გამოიყენება 14:302 მუხლით გათვალისწინებული ვადის შეჩერებისას.

ნაწილი 4 – ვადების განახლება

მუხლი 14:401 – განახლება აღიარების გამო

- (1) თუ მოვალე კრედიტორის წინაშე მოთხოვნას აღიარებს, ნაწილობრივი ან პროცენტის გადახდით, უზრუნველყოფის საშუალებით ან სხვა გზით, ხანდაზმულობის ახალი ვადა დაიწყებს დენას.
- (2) ახალი ვადა არის ხანდაზმულობის ზოგადი ვადა, მიუხედავად იმისა, რომ მოთხოვნა შეიძლება თავდაპირველად ხანდაზმულობის ზოგად ან 14:202 მუხლით გათვალისწინებულ ათწლიან ვადას ექვემდებარებოდეს. ამ უკანასკნელის შემთხვევაში, ეს მუხლი არ გამოიწვევს ათწლიანი ვადის შემცირებას.

მუხლი 14:402 – განახლება შესრულების მცდელობით

14:202 მუხლში გათვალისწინებული ხანდაზმულობის ათწლიანი ვადის ათვლა დაიწყება კრედიტორის მიერ მოთხოვნის აღსრულების ყოველი გონივრული მცდელობისას.

ნაწილი 5 – ხანდაზმულობის ვადის სამართლებრივი შედეგები

მუხლი 14:501 – ზოგადი სამართლებრივი შედეგი

- (1) ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ მოვალეს შეუძლია შესრულებაზე უარი თქვას.
- (2) ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ მოთხოვნის წაყენება დაუშვებელია, მოვალის იმ ქმედებების მიუხედავად, რომელიც ავალდებულებისგან განთავისუფლების მიზნით განხორციელდა.

მუხლი 14:502 – გავლენა აქცესორულ მოთხოვნებზე

ხანდაზმულობის ვადა პროცენტის გადახდის უფლებისთვის ან სხვა აქცესორულ მოთხოვნაზე ძირითადი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლასთან ერთად იწურება.

მუხლი 14:503 – ხანდაზმული მოთხოვნის გაქვეითვა

მოთხოვნა, რომლის ხანდაზმულობის ვადა ამოიწურა, არ შეიძლება გაიქვეითოს სხვა მოთხოვნაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მოვალემ კრედიტორს ხანდაზმულობის ვადის თაობაზე მიუთითა, ან მოთხოვნათა გაქვეითვის თაობაზე მოთხოვნიდან 2 თვეში შეატყობინა.

**ნაწილი 6 – შეთანხმებით გათვალისწინებული
ცვლილება**

მუხლი 14:601 – ხანდაზმულობასთან დაკავშირებული შეთანხმება

- (1) ხანდაზმულობასთან დაკავშირებული მოთხოვნები შესაძლოა ხანდაზმულობის ვადის შემცირების ან გაგრძელების თაობაზე მხარეთა შორის არსებული შეთანხმებით შეიცვალოს.
- (2) ხანდაზმულობის ვადა არ შეიძლება შემცირდეს ერთ წელზე ნაკლები ვადით ან გაგრძელდეს ოცდაათ წელზე მეტი ხნით, 14:203 მუხლში გათვალისწინებული საწყისი დროის შემდეგ.

თავი 15 – კანონთან წინააღმდეგობა

მუხლი 15:101 – ძირითადი პრინციპების საწინააღმდეგო ხელშეკულებები

ხელშეკრულება არ იქნება ნამდვილი, თუ ის ეწინააღმდეგება ეუროკავშირის წევრი სახელმწიფოების კანონდებლობით აღიარებულ ფუძემდებლური პრინციპებს.

მუხლი 15:102 – ხელშეკრულებები, რომელიც ეწინააღმდეგება იმპერატიულ ნორმებს

- (1) თუ ხელშეკრულება არღვევს ამ პრინციპების 1:103 მუხლით დადგენილ გამოსაყენებელი სამართლის იმპერატიულ ნორმას, მის მიმართ დგება იმპერატიული ნორმებით გათვალისწინებული სამართლებრივი.
- (2) თუ იმპერატიული ნორმა პირდაპირ და ცალსახად არ განსაზღვრავს მისი დარღვევის შედეგებს, მაშინ შესაძლებელია ხელშეკრულება ჩაითვალოს ნამდვილად, ნაწილობრივ ბათილად, ან სრულიად ბათილად, ან მოხდეს მისი შინაარსის ცვლილება.
- (3) გადაწყვეტილება მიიღება (2) პუნქტის თანახმად, რომელიც დარღვევის შესაბამისი და პროპორციული უნდა იყოს, ყველა მნიშვნელოვანი გარემოების გათვალისწინებით, მათ შორის: (a) იმ ნორმის მიზანი, რომელიც დაირღვა; (b) პირთა კატეგორია, რომელთა დასაცავადაც ეს ნორმა არსებობს; (c) ნებისმიერი სანქცია, რომელიც შეიძლება დაწესდეს დარღვეული ნორმის მიხედვით; (d) დარღვევის ხარისხი; (e) დარღვევის განზრახი ხასიათი; (f) დარღვევისა და ხელშეკრულების ურთიერთმიმართება.

მუხლი 15:103 – ნაწილობრივი ბათილობა

- (1) 15:101 ან 15:102 მუხლების შესაბამისად, ხელშეკრულების მხოლოდ ნაწილის ბათილობის შემთხვევაში, დანარჩენი ნაწილი ნამდვილად მიიჩნევა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ყველა გარემოების გათვალისწინებით, მისი ძალაში დატოვება არაგონივრული იქნება.
- (2) ნაწილობრივი ბათილობისას 15:104 და 15:105 მუხლები გამოიყენება, შესაბამისი ცვლილებებით.

მუხლი 15:104 – პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა

- (1) როცა ხელშეკრულება მიჩნეულია ბათილად 15:101 ან 15:102 მუხლების თანახმა, თითოეულმა მხარემ შეიძლება პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა და ხელშეკრულების შესაბამისად განხორციელებული შესრულების უკან დაბრუნება მოითხოვოს იმ პირობით, რომ ამას საპასუხო რესტიტუცია მოჰყვება.
- (2) იმის გადასაწყვეტად, უნდა მოხდეს თუ არა პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა (1) პუნქტის მიხედვით და ასეთის არსებობის შემთხვევა-

ში, როგორ უნდა მოხდეს შესრულების უკან დაბრუნება, ყურადღება უნდა მიექცეს 15:102 (3) მუხლში მოცემულ პირობებს.

- (3) პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის მოთხოვნის უფლება არა აქვს იმ პირს, რომელმაც იცოდა ან უნდა სცოდნოდა ბათილობის საფუძვლების შესახებ.
- (4) თუ პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა რაიმე მიზეზის გამო ნატურით ვერ ხორციელდება, აღდგენა უნდა მოხდეს გონივრული თანხის გადახდით.

მუხლი 15:105 – ზიანის ანაზღაურება

- (1) თუ ხელშეკრულება გაბათილდა 15:101 და 15:102 მუხლების შესაბამისად, მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება იმ მდგომარეობის გათვალისწინებით, რაც იარსებებდა ხელშეკრულება რომ შესრულებულიყო, იმ პირობით, რომ მეორე მხარემ იცოდა ან უნდა სცოდნოდა ბათილობის საფუძვლების შესახებ.
- (2) იმის გადასაწყვეტად, უნდა მიეცეს თუ არა მხარეს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება (1) პუნქტის შესაბამისად, მხედველობაში მიიღება 15:102 (3) მუხლში მოცემული პირობები.
- (3) გადაწყვეტილება ზიანის ანაზღაურებაზე, შეიძლება შეცილებულ იქნას, თუ პირველმა მხარემ იცოდა ან უნდა სცოდნოდა ბათილობის საფუძვლების შესახებ.

თავი 16 – პირობები

მუხლი 16:101 – პირობის სახეები

სახელშეკრულებო ვალდებულება შეიძლება დამოკიდებული იყოს გარკვეული სამომავლო, წინასწარ უცნობი პირობის დადგომაზე, შესაბამისად, ვალდებულება წარმოიშობა (სუსპენზიური პირობა) ან შეწყდება (რეზოლუციური პირობა), თუ ეს პირობა დადგა.

მუხლი 16:102 – პირობებში ჩარევა

- (1) თუ პირობის დადგომას ხელი შეუშალა მხარემ კეთილსინდისიერების, სამართლიანობის და თანამშრომლობის პრინციპების დარღვევით და ვალდებულება ამ პირობის დადგომაზეა დამოკიდებული, რითაც დაზა-

რალდა პირველი მხარის ინტერესი, მაშინ ეს პირობა დამდგარად მიიჩნევა.

- (2) თუ პირობის დადგომას ხელი შეუწყო მეორე მხარემ კეთილსინდისიერების, სამართლიანობის და თანამშრომლობის პრინციპების დარღვევით და ვალდებულება ამ პირობის დაუდგომლობაზე დამოკიდებული, რითაც დაზარალდა პირველი მხარის ინტერესები, მაშინ მიიჩნევა, რომ ეს პირობა არ დამდგარა.

მუხლი 16:103 – პირობების სამართლებრივი ძალა

- (1) სუსპენზიური პირობის დადგომისთანავე ვალდებულება წარმოიშობა, თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან.
- (2) რეზოლუციური პირობის დადგომისთანავე ვალდებულება წყდება, თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან.

თავი 17 – პროცენტის ჩათვლა კაპიტალში

- (1) 9:508 მუხლის შესაბამისად გადასახდელი პროცენტი დაემატება გადაუხდელ კაპიტალს ყოველი 12 თვის განმავლობაში.
- (1) ამ მუხლის პირველი პუნქტი არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ მხარეებს გათვალისწინებული აქვთ პროცენტის ოდენობა გადახდის დაგვიანებისას.